

[UNHCR-ის ლოგო]

გავრცელება:

ფართო

ორიგინალი: ინგლისური

---

განმარტებითი ბარათი გამორიცხვის დებულებების გამოყენების შესახებ: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი

**შინაარსი**

ა. საფუძვლები.....	4
ბ. მიზნები და გამოყენების ზოგადი პრინციპები .....	5
გ. გამორიცხვის დებულებები ლტოლვილთა საერთაშორისო ინსტრუმენტებში .....	5
დ. 1951 წლის კონვენციის სხვა დებულებებთან კავშირი.....	6
ე. დროითი საზღვრები.....	8
ვ. ლტოლვილის სტატუსის გაუქმება ( <i>ex tunc</i> ) .....	8
ზ. ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევა ( <i>ex nunc</i> ).....	10
თ. პასუხისმგებლობა ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე .....	10
ი. გამორიცხვის შედეგები.....	11
<b>II. საკითხის არსებითი ანალიზი</b>	<b>12</b>
დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ.....	14
სამხედრო დანაშაულები.....	15
დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.....	17
<b>ბ. 1F(ბ) მუხლი: არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული</b>	<b>19</b>
მძიმე დანაშაული .....	19
არაპოლიტიკური დანაშაული .....	20
თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ .....	21
<b>დ. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა</b>	<b>25</b>
რეპრესიული რეჟიმის უფროსი თანამდებობის პირები.....	28

მაღაღობრივი დანაშაულობების ჩამდენი ან სხვათა წამქეზებელი ორგანიზაციები .....	30
ყოფილი მებრძოლები.....	32
ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები.....	32
განზრახვის ელემენტის (mens rea) არ არსებობა .....	32
დაცვა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.....	33
(ii) იძულება .....	34
(iii) თავდაცვა; სხვა ადამიანების ან ქონების დაცვა .....	34
დანაშაულის გამოსყიდვა.....	35
<b>ვ. მოსაზრებები პროპორციულობის შესახებ</b>	<b>36</b>
<b>ზ. 1 F მუხლის გამოყენება კონკრეტულ ქმედებებთან მიმართებაში</b>	<b>38</b>
ტერორიზმი .....	38
თვითმფრინავის გატაცება .....	42
წამება .....	43
საერთაშორისო სამართლის სფეროში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დანაშაულებები.....	44
<b>თ. განსაკუთრებული საქმეები</b>	<b>44</b>
არასრულწლოვნები .....	44
ოჯახის გაერთიანება.....	45
მასობრივი შემოსვლა (mass influx) .....	46
<b>III. პროცედურული საკითხები</b>	<b>47</b>
ა. პროცედურული სამართლიანობა.....	47
ბ. გამორიცხვის საკითხის განხილვა ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის კონტექსტში .....	47
გ. სპეციალური განყოფილებები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საქმეებზე.....	48
დ. საქმის განხილვის გადადება სისხლის სამართლის სამართალწარმოების დასრულებამდე	49
ე. თავშესაფარის მოთხოვნის ფაქტის კონფიდენციალურობა .....	49
ვ. მტკიცების ტვირთი.....	50
ზ. მტკიცების სტანდარტი .....	50
თ. სენსიტიური მტკიცებულებები .....	52

## დანართი

53

დანართი ა: გამორიცხვის შედეგები .....	53
დანართი ბ. ინსტრუმენტები რომლებიც ომის დანაშაულებს განმარტავს .....	55
დანართი გ. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების განმსაზღვრელი ინსტრუმენტები.....	56
დანართი დ: დოკუმენტები, რომლებიც ეხება ტერორიზმს.....	57
დოკუმენტების პროექტები: .....	58

დაცვის პოლიტიკისა და სამართლის განყოფილება,

საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტი

ჟენევა, 4 სექტემბერი 2003

აღნიშნული განმარტებითი ბარათი UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპების 'გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 1F მუხლის შესაბამისად' განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (HCR/GIP/03/05, 4 სექტემბერი 2003).

## I. შესავალი

### ა. საფუძვლები

1. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 1950 წლის წესდება (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „UNHCR წესდება“), 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენცია და 1967 წლის ოქმი, რომელიც ეხება ლტოლვილის სტატუსს (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „1951 წლის კონვენცია“) და აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენცია, რომელიც განსაზღვრავს ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტულ ასპექტებს აფრიკაში (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „OAU კონვენცია“) შეიცავს დებულებებს, რომლებიც არ აძლევს უფლებას ზოგიერთ პირს, რომელიც სხვა მხრივ ლტოლვილად ითვლება, ისარგებლოს აღნიშნული სტატუსით. ამ დებულებებს, როგორც წესი, უწოდებენ „გამორიცხვის დებულებებს.“
2. ბოლო ათი წლის განმავლობაში, დიდ წილად დიდი აფრიკული ტბების რეგიონსა და ყოფილ იუგოსლავიაში განვითარებულმა მოვლენებმა და მათმა შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა ლტოლვილის სტატუსიდან პირთა გამორიცხვის აუცილებლობა. უახლესმა ანტიტერორისტულმა ინიციატივებმა კიდევ უფრო მეტად საჭირო გახადა აღნიშნული დებულებების დაზუსტება. წინამდებარე განმარტებით ბარათში დეტალურად არის გაანალიზებული და განხილული გამორიცხვის დებულებები სახელმწიფოების, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და სხვა შესაბამისი აქტორების პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის *სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ* (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სახელმძღვანელო“), პრეცედენტული სამართლის, შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტებისა და ასევე სამეცნიერო წრეებისა და ექსპერტთა შეხედულებების გათვალისწინებით. ის ასევე ყურადღებას ამახვილებს 2001 წლის მაისში პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ეგიდით საერთაშორისო დაცვაზე გლობალური კონსულტაციების ფარგლებში ჩატარებულ ექსპერტთა მრგვალ მაგიდაზე, რომელზედაც კონსტრუქციული განხილვა მიმდინარეობდა აღნიშნული საკითხის გარშემო (მეორე ფაზა). შეიძლება გამოვთქვათ იმედი, რომ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია წინამდებარე განმარტებით ბარათში, სახელმძღვანელო პრინციპებში 'გამორიცხვის დებულებების გამოყენება: 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 1FF მუხლის შესაბამისად'F უზრუნველყოფს გამორიცხვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების მიმართ სწორ მიდგომას და, ამგვარად, ხელს შეუწყობს 1951 წლის კონვენციის 1F პუნქტის სწორად გამოყენებას. ამკარაა, რომ თითოეული საქმე კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე უნდა იქნეს განხილული, იმ პრობლემების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღიარა თავის 1997 წლის დასკვნაში N82 (XLVII), პუნქტი d(v), ლტოლვილის სტატუსის

გაუვრცელებლობის შესახებ დებულება „სკურპულოზურად“ უნდა იქნეს გამოყენებული რათა დაცული იყოს თავშესაფრის ინსტიტუტის ერთიანობა.

## **ბ. მიზნები და გამოყენების ზოგადი პრინციპები**

3. გამორიცხვის დებულებების ლოგიკური საფუძველი ორგვაროვანია. ერთის მხრივ, ზოგიერთი ქმედება იმდენად მძიმეა, რომ ამ ქმედების ჩამდენი არ იმსახურებს ლტოლვილის სტატუსით საერთაშორისო დაცვას. მეორეს მხრივ, ლტოლვილთა დაცვის სისტემა ხელს არ უნდა უშლიდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას სერიოზულ კრიმინალებთან მიმართებაში. გამორიცხვის დებულებების ინტერპრეტაციის დროს პირველადი მიზნები არ უნდა დავივიწყოთ, თუმცა მათი განხილვა უნდა მოხდეს ყოვლისმომცველი ჰუმანიტარული მიზნების ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია 1951 წლის კონვენციაში.
4. ამგვარად, გამორიცხვის დებულებების, ისევე როგორც ადამიანის უფლებების გარანტიებში ნებისმიერი სხვა გამონაკლისის ინტერპრეტაცია შეზღუდულად, ხოლო გამოყენება დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს. როგორც *სახელმძღვანელოს* 149-ე პუნქტშია ხაზგასმული, ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მაშინ არის გამართლებული, როდესაც გამორიცხვის დებულების გამოყენებას შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს ადამიანისათვის. უფრო მეტიც, უნივერსალური იურისდიქციის გაფართოებასთან და საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების შემოღებასთან ერთად მცირდება გამორიცხვის დებულების როლი, როგორც საშუალების რომელიც უზრუნველყოფს დამნაშავეების მართლმსაჯულების წინაშე წარდგომას. ეს კი მეტ სიძლიერეს ანიჭებს იმ არგუმენტებს, რომელიც ამ პროცედურის შეზღუდულად გამოყენებას ემხრობა.<sup>1</sup>

## **გ. გამორიცხვის დებულებები ლტოლვილთა საერთაშორისო ინსტრუმენტებში**

5. UNHCR-ის წესდების 7(d) პარაგრაფში ნათქვამია, რომ უმაღლესი კომისარიატის კომპეტენცია არ უნდა ვრცელდებოდეს იმ პირებზე:

რომლის მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების დებულებებით ან დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია 1945 წლის ლონდონის წესდებით საერთაშორისო

---

<sup>1</sup> ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონეთა სტატუსის შესახებ სრულუფლებიან წარმომადგენელთა 29-ე კონფერენციაზე ფრანგმა დელეგატმა (მ.როშფორმა) განაცხადა, რომ 1F (ბ) მუხლი საჭირო იყო, ვინაიდან „არსებულ ვითარებაში, არ არსებობს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, რომელიც კომპეტენტურად გაასამართლებდა ომის დამნაშავეებს ან ზოგადი სამართლის დამრღვევებს, რომელიც უკვე გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით“. (გაეროს დოკუმენტი A./CONF.2/SR.29, 21-ე პუნქტი).

სამხედრო ტრიბუნალის შესახებ, მე-6 მუხლი ან 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით მე-14 მუხლი, მე-2 პუნქტი.<sup>2</sup>

6. 1951 წლის კონვენციის 1 მუხლის F პუნქტში ნათქვამია, რომ კონვენციის დებულებები „არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მან:

ა) ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული, ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებებისათვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად;

ბ) ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მანამ სანამ ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული;

გ) ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.

7. გამორიცხვის საფუძველები *ამომწურავად* არის ჩამოთვლილი 1951 წლის კონვენციაში. თუმცა ჩამოთვლილი საფუძველები სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მათ არ შეიძლება დაემატოს დამატებითი კრიტერიუმი თუ არ არსებობს საერთაშორისო კონვენცია. OAU კონვენცია იმეორებს იგივე ფორმულირებას, რომელიც მოცემულია 1951 წლის კონვენციის 1 მუხლის F პუნქტში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საუბარია იმ პირებზე, რომელთაც „ბრალდებათ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს“. ვინაიდან OAU კონვენცია დამატებით ავსებს 1951 წლის კონვენციას, უკანასკნელი ფრაზა უნდა განხილულ იქნეს 1951 წლის 1 მუხლის F პუნქტის c ქვეპუნქტის ფარგლებში, იმის გამო რომ აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციასა და გაეროს მიზნებს შორის მჭიდრო კავშირია.

#### **დ. 1951 წლის კონვენციის სხვა დებულებებთან კავშირი**

8. 1951 წლის კონვენციის 1 F მუხლში მოცემული გამორიცხვის დებულებები უნდა გაიმიჯნოს იმავე კონვენციის 1D და 1E მუხლებში მოცემული ფორმულირებისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ეხება არა იმ პირებს, რომლებიც არ იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას, არამედ იმათ ვისაც ეს არ სჭირდებათ. **1D მუხლში** ნათქვამია, რომ 1951 წლის კონვენცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც იღებენ დაცვას ან დახმარებას გაეროს სხვა უწყებებიდან ან

<sup>2</sup> ლონდონის წესდების დებულებები განხილულია ქვემოთ თავში, რომელიც ეხება 1 F (ა) მუხლს. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლში ნათქვამია:

(1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნიდან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.

(2) ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

სააგენტოებიდან და არა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისგან. თუმცა ეს პირები შეიძლება მოხვდნენ 1951 წლის კონვენციის მოქმედების ქვეშ თუ „აღნიშნული დაცვა ან დახმარება რაიმე მიზეზის გამო შეწყდა მანამ სანამ ამ პირთა მდგომარეობა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციების შესაბამისად მოგვარდებოდა.“<sup>3</sup> ასეთ ვითარებაში, შეიძლება საჭირო გახდეს 1F მუხლით გათვალისწინებული გამორიცხვის მექანიზმის ამოქმედება.

9. **1 E მუხლის** თანახმად 1951 წლის კონვენცია „არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც იმ ქვეყნის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, კომპეტენტური ხელისუფლების აღიარებით აქვთ უფლებები და ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია ამ ქვეყნის მოქალაქეობასთან“. აღნიშნული მუხლის საგანი და მიზანია ლტოლვილის სტატუსი არ გავრცელდეს იმ პირებზე, რომელთაც ლტოლვილთა სტატუსით განსაზღვრული დაცვა არ სჭირდებათ, ვინაიდან მათ იმაზე მეტი დაცვა აქვთ, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 1951 წლის კონვენციით, სხვა ქვეყანაში გარდა წარმოშობის ქვეყნისა, სადაც ისინი რეგულარულად ან მუდმივად ცხოვრობენ და სადაც ისინი სარგებლობენ სტატუსით, რომელიც ფაქტობრივად ახლოსაა მოქალაქეობასთან.
  
10. უფრო მეტიც, 1 F მუხლი არ უნდა ავურიოთ 1951 წლის კონვენციის **33-ე მუხლის მე-2 პუნქტთან**, რომლის თანახმად დაუშვებელია *არ გაძევების (non-refoulement)* გამოყენება იმ ლტოლვილების მიმართ, რომელთა მიმართ არსებობს საფუძველი, რომ „ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავრდებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენისთა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.“ 1F მუხლისგან განსხვავებით, რომელიც ეხება პირებს, რომლებიც არ იმსახურებენ ლტოლვილის სტატუსს, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უკვე აღიარებული არიან ლტოლვილებად. ამგვარად 1F მუხლი და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი არსებითად განსხვავებულ სამართლებრივ დებულებებს შეიცავენ, რომლებიც განსხვავებულ მიზნებს ემსახურებიან. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი ვრცელდება ლტოლვილებზე, რომლებიც მათ მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებათა გამო, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ თავშესაფრის მიმცემი ქვეყნისათვის. ეს მუხლი მიზნად ისახავს დაიცვას თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის უსაფრთხოება და ეფუძნება ვარაუდს, რომ კონკრეტული ლტოლვილი სერიოზულ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ან ახლა ან მომავალში. ამიტომ 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი ყოველთვის ითვლებოდა უკანასკნელ ღონისძიებად, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა, ვიდრე სისხლის სამართლის სანქციები; მისი ამოქმედება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ პირებისაგან განსაკუთრებული საფრთხეა მოსალოდნელი, რომლის თავიდან

---

<sup>3</sup> ასევე იხილეთ, UNHCR, „ბარათი 1951 წლის კონვენციის 1D მუხლის გამოყენების შესახებ პალესტინელ ლტოლვილთა მიმართ ლტოლვილის სტატუს შესახებ“, 2002 წლის ოქტომბერი.

აცილება მხოლოდ ამ პირის თავშესაფრის მიმცემი ქვეყნიდან გაძევებით არის შესაძლებელი.

### ე. დროითი საზღვრები

11. მაშინ როდესაც 1 F(ბ) მუხლში ნათქვამია, რომ კონკრეტული დანაშაული ჩადენილია „თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მოცემული პირის ქვეყანაში ლტოლვილად შემოსვლამდე“, <sup>4</sup> გამორიცხვის სხვა დებულებებში დროზე ან ტერიტორიაზე მინიშნება არ არის გაკეთებული. დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, საუბარია, 1 F(ა) და (გ) პუნქტებზე, გამორიცხვის დებულებების გამოყენება ხდება იმის მიუხედავად აღნიშნული ქმედება ჩადენილ იქნა თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში, წარმოშობის ქვეყანაში თუ მესამე ქვეყანაში. მსგავსი დანაშაულის ჩადენისთანავე პირს უარი ეთქმება ლტოლვილის სტატუსზე. თუ ამ დროისათვის პირი უკვე აღირებულ იქნა ლტოლვილად, საჭირო გახდება ამ სტატუსის ჩამორთმევა. <sup>5</sup>

12. გამორიცხვის დებულების დროის ასპექტი უცვლელი რჩება, როდესაც პირი „ადგილზე“ ლტოლვილია (*sur place*) (ითხოვს ლტოლვილის სტატუსს იმ გარემოებათა გამო, რომელიც წარმოიშვა მისი წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ). ამგვარად, იმისათვის, რომ ამოქმედდეს 1F მუხლის (ა) და (გ) პუნქტები, აღნიშნული დანაშაული არ არის სავალდებულო წინ უსწრებდეს იმ გარემოებებს, რის გამოც პირმა ითხოვა ლტოლვილის სტატუსი. შესაბამისად თუ პირი ჩაერთვება აღნიშნული მუხლის (ა) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებში, შესაძლებელია სტატუსის ჩამორთმევა განხორციელდეს. აღნიშნულისგან განსხვავებით, 1F (ბ) მუხლისათვის მხოლოდ ის დანაშაულებებია მნიშვნელოვანი, რომლებიც ჩადენილი იქნა თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ მანამ, სანამ ეს პირი ამ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსით დაიშვებოდა.

### ვ. ლტოლვილის სტატუსის გაუქმება (*ex tunc*)

13. ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი პრინციპები იძლევა ლტოლვილის სტატუსის გაუქმების საშუალებას თუ მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი თავიდანვე არ არსებობდა ან იმიტომ, რომ განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა პროცედურებში ჩართვისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს ან არ მოხდა გამორიცხვის შეფასების გაკეთება, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღებს არ ქონდა ხელთ ინფორმაცია. თუმცა, სტატუსის გაუქმება არ უკავშირდება პირის ქცევას სტატუსის დადგენის შემდეგ. ამგვარად, აუცილებელია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ლტოლვილის სტატუსის გაუქმება გამორიცხვის საფუძველზე და გაძევება (*non-refoulement*) 1951 წლის კონვენციის 32 მუხლისა და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. პირველ

<sup>4</sup> ასევე იხილეთ პუნქტები 44-45.

<sup>5</sup> ასევე იხილეთ პუნქტი 17.



შემთხვევაში უქმდება შეცდომით მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი,<sup>6</sup> ხოლო უკანასკნელი დებულებები განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მოეპყრონ პირებს, რომლებიც საფუძვლიანად იქნენ აღირებულები ლტოლვილებად.

14. ფაქტები, რომელებიც ჩაითვლებოდა გამორიცხვის საფუძვლად შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი აღიარებული იქნა ლტოლვილად. სახელმძღვანელოს 141-ე პუნქტში ნათქვამია:

ჩვეულებრივ, პირის ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცესში გამოვლინდება ფაქტები, რომელთა გამოც ჩაითვლება, რომ პირს არ ეკუთვნის ლტოლვილის სტატუსის მიღება გამორიცხვის დებულებების საფუძველზე. თუმცა, შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ ფაქტები, რომლებიც ასაბუთებს, რომ პირს არ ეკუთვნის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება ცნობილი გახდეს მხოლოდ პირის ლტოლვილად ცნობის შემდეგ. ასეთ შემთხვევებში ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის დებულებების საფუძველზე მოხდება უკვე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება.

15. არასწორი გადაწყვეტილების მიზეზი შეიძლება იყოს განმცხადებლის მიერ უმნიშვნელოვანეს ფაქტებთან დაკავშირებით ცრუ ან არასწორად მიწოდებული ინფორმაცია, ან შესაძლოა უკავშირდებოდეს სახელმწიფო უწყებების ქმედებას (მაგალითად, გადაწყვეტილების არასწორად მიღება). გაუქმების აქტის მეშვეობით ხდება ადმინისტრაციული ან სამართლებრივი აქტის გაუქმება, რომელიც თავიდანვე *ab initio* მცდარი გადაწყვეტილების გამოსწორება (იმ დროიდანვე ან *ex tunc*). ამგვარ შემთხვევაში პირი არ ითვლება და არც არასდროს ითვლებოდა ლტოლვილად. მსგავსი შეცდომების დროულად და გამჭვირვალედ გამოსწორება აუცილებელია რათა შენარჩუნებული იქნეს ლტოლვილის განსაზღვრების ერთიანობა. ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულობის შესახებ ზოგადი ეჭვების ქონა მხოლოდ რელიგიური, ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობის საფუძველზე ან პოლიტიკური კუთვნილებიდან გამომდინარე არ ამართლებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცესის გადახედვის წამოწყებას მთელი ჯგუფი ლტოლვილების მიმართ.

16. შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც მას შემდეგ რაც პირის გამორიცხვა მოხდა, გამოჩნდეს ისეთი ინფორმაცია რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს პირის მიმართ გამორიცხვის დებულებების გამოყენებას. ამ შემთხვევაში გამორიცხვის საკითხი უნდა გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში პირი აღირებული უნდა იქნეს ლტოლვილად.

---

<sup>6</sup> ზოგადად ლტოლვილის სტატუსის გაუქმების შესახებ იხილეთ სახელმძღვანელოს 117-ე პუნქტი, ასევე S.Kapferer, "Cancellation of Refugee Status", Legal and Protection Policy Research Series, UNHCR, Department of International Protection, PPLA/2003/02, March 2003.

## ზ. ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევა (*ex nunc*)

17. პრინციპში, ყველა ლტოლვილი, იმ ლტოლვილთა ჩათვლით რომელთა აღირება *prima facie* საფუძველზე მოხდა, ვალდებულია დაიცვას თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის კანონები და წესები, როგორც ეს განსაზღვრულია 1951 წლის კონვენციის მე-2 მუხლში, ხოლო თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულს, ისინი ექვემდებარებიან სისხლის სამართლებლივ დევნას. 1951 წლის კონვენცია ითვალისწინებს, რომ ამ ლტოლვილების გაძევება შეიძლება მოხდეს 32-ე მუხლის შესაბამისად ან, გამონაკლის შემთხვევაში, ისინი შეიძლება გაძევებულ იქნენ ქვეყნიდან 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. არც ერთი და არც მეორე თავისთავად არ გულისხმობს ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევას. თუმცა, თუ ლტოლვილი ისეთ ქმედებას ჩაიდენს, რომელიც ხვდება 1F(ა) ან (გ) მუხლებში, მაგალითად, თუ ის თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში შეიარაღებულ აქტივობებში მონაწილეობს, ამან შეიძლება აამოქმედოს გამორიცხვის დებულება. ამ შემთხვევაში გამართლებული იქნება ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევა (ამ მომენტიდან ან *ex nunc*), რა თქმა უნდა იმ პირობით თუ დაკმაყოფილდება 1F მუხლის (ა) და (გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმები.<sup>7</sup>

## თ. პასუხისმგებლობა ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე

18. 1951 წლის კონვენციისა და OAU კონვენციის თანახმად კომპეტენცია გადაწყვეტილების მიღებაზე იმასთან მიმართებაში განმცხადებელი ექვემდებარება თუ არა ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვას იმ ქვეყნის გადასაწყვეტია, რომლის ტერიტორიაზეც განმცხადებელი ცდილობს სტატუსის მიღებას. მიუხედავად ამისა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, წესდების მე-8 პუნქტისა და 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად ვალდებულია დაეხმაროს ქვეყნებს, რომელთაც ესაჭიროებათ დახმარება გამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საქმეში და ასევე განახორციელოს ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე ამ კუთხით.

19. საკუთარი პოლიტიკიდან გამომდინარე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ჩვეულებრივ არ ერევა ლტოლვილის სტატუსის დადგენაში იმ ქვეყნებში, რომლებიც მიერთებული არიან 1951 წლის კონვენციის/1967 ოქმს. თუმცა ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა ქვეყნის მიერ და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ საკუთარი მანდატის ფარგლებში

<sup>7</sup> აფრიკაში OAU კონვენცია შეიცავს „დებულებებს შეწყვეტის შესახებ“, რომელიც ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის მოსაზრებებს ეფუძნება. თუ ლტოლვილი, იმ ლტოლვილთა ჩათვლით, რომელთა აღიარება *prima facie* საფუძველზე მოხდა, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, როგორც ეს განმარტებულია OAU კონვენციის III მუხლის მე-2 პუნქტში, პირველი ნიშნებით აღიარებული ლტოლვილის სტატუსი შეიძლება შეწყდეს I მუხლის მე-4 პუნქტის 'გ' ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელშიც ნათქვამია, რომ კონვენციის დებულება წყვეტს მოქმედებას იმ ლტოლვილთა მიმართ, რომელთაც მიაყენეს ზიანი მის მიზნებსა და ამოცანებს. ძირგამომთხრელ საქმიანობად ითვლება შეიარაღებული აქტივობა OAU წევრი-ქვეყნების წინააღმდეგ. ვინაიდან OAU კონვენცია ავსებს 1951 წლის კონვენციას, I მუხლის მე-4 პუნქტის 'გ' ქვეპუნქტი განხილული უნდა იქნეს 1951 წლის კონვენციის I მუხლის F პუნქტის კონტექსტში.

ურთიერთგამომრიცხავი არ არის. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი მონაწილეობას იღებს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის ეროვნულ პროცედურებში. ვინაიდან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარს ზედამხედველობითი როლი აკისრია, ქვეყნები ვალდებული არიან სათანადო ყურადღება დაუთმონ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ ლტოლვილთა შესახებ შესაბამისი დოკუმენტების ინტერპრეტაციას როგორც ცალკეულ, ასევე ზოგად საკითხებზე. წინამდებარე განმარტებითი ბარათი მოწოდებულია ხელი შეუწყოს გამორიცხვის დებულებების ინტერპრეტაციის საერთო მიდგომას იმისათვის, რომ შემცირდეს კონფლიქტის შესაძლებლობა სხვადასხვა ქვეყნისა და/ან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის.

20. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდება აცხადებს, რომ უმაღლესი კომისარიატის კომპეტენცია არ ვრცელდება რიგ პირებზე რომლის საფუძველი ჰგავს (თუმცა იდენტური არ არის) იმ საფუძველების, რომელიც ჩამოყალიბებულია 1951 წლის 1F მუხლში. მსგავსი შემთხვევები უშუალოდ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კომპეტენციაა. იმის გამო, რომ 1F მუხლი შედარებით ახალ და უფრო კონკრეტულ ფორმულირებას წარმოადგენს იმ პირთა კატეგორიებისა, რომელიც მოცემულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წესდების მე-7(დ)პუნქტში, 1F მუხლს უპირატესობა ენიჭება. UNHCR-ის წარმომადგენლები უნდა მიმართავდნენ 1951 წლის კონვენციის ფორმულას გამორიცხვის საქმეების განხილვისას.

#### ი. გამორიცხვის შედეგები

21. პირის გამორიცხვის შემთხვევაში არ ხდება პირის ლტოლვილად აღიარება და იგი ვერ ისარგებლებს 1951 წლის კონვენციით გარანტირებული საერთაშორისო დაცვით. ამ პირზე არ ვრცელდება არც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მანდატი. მიუხედავად ამისა შესაბამისი სახელმწიფო არ არის ვალდებული გაამეფოს ეს პირი. უფრო მეტიც, მან შეიძლება მოინდომოს ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის იურისდიქციის განხორციელება, ან საკუთარ თავზე აიღოს ამ პირის ექსტრადიციის ვალდებულება ან ამ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, განახორციელოს სამართლებრივი დევნა. თუ UNHCR-ი გადაწყვეტს პირის სტატუსიდან გამორიცხვას, ოფისიდან ვეღარ მიიღებს ვერც დაცვას და ვერც დახმარებას.

22. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხულ პირს არ მიუწვდება 1951 წლის კონვენციით განსაზღვრულ დაცვაზე ხელი, მას მაინც აქვს უფლება მოეპყრონ საერთაშორისო სამართლის, უფრო კონკრეტულად კი, ადამიანის უფლებების ვალდებულებათა შესაბამისად. მართალია, სახელმწიფოს გააჩნია მნიშვნელოვანი უფლებამოსილება უცხოელის საკუთარი ტერიტორიიდან გაძევების თაობაზე, არსებობს რიგი შეზღუდვებისა (როგორც ეს ნაჩვენებია დანართში 'ა'). ამგვარად, ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხულ პირს

გამევეებისაგან იცავს მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტები; კერძოდ, 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ - მე-3 მუხლი, 1966 წლის საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ - მე-7 მუხლი და/ან 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამინის უფლებათა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ - მე-3 მუხლი.

## II. საკითხის არსებითი ანალიზი<sup>8</sup>

### A. მუხლი 1F(ა): დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული

23. მუხლი 1F(ა) ეხება იმ პირებს, რომელთა მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მათ ჩაიდინეს „დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო აქტებით, რომლებიც იმისათვის შეიქმნა რათა მიღებულ იქნეს ზომები მსგავსი დანაშაულების შემთხვევაში.“ დღეისათვის არსებობს რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ან განმარტავენ ცნებას „დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.“<sup>9</sup> თავის მნიშვნელობას არ კარგავს 1945 წელს მიღებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება (ლონდონის წესდება), რომლის მე-6 მუხლი ციტირებულია სახელმძღვანელოში.<sup>10</sup> საერთაშორისო დონეზე ამ დანაშაულებების განმარტების უახლესი მცდელობა მოცემულია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდებაში (ICC), რომელიც მიიღეს 1998 წლის ივნისში, ხოლო ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს. მასში განმარტებული დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ უფრო დეტალურად განხილული იქნება დანაშაულის ელემენტებში,<sup>11</sup> რომელიც მიღებული უნდა იქნეს ICC-ის წევრი-სახელმწიფოების მიერ. სხვა შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები,<sup>12</sup> რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია გამორიცხვის დებულებების ინტერპრეტაციისათვის არის:

<sup>8</sup> სასამართლო პრაქტიკისა და გამორიცხვის შესახებ დებულების გამოყენების დეტალური ანალიზი იხილეთ ჟურნალ *International Journal of Refugee Law*, vol. 12, 2000 სპეციალურ დამატებაში, რომელიც ეძღვნება დაცვიდან გამორიცხვას.

<sup>9</sup> ზოგიერთი ამ დოკუმენტთაგანი ჩამოთვლილია განმარტებითი ბარათის VI დანართში

<sup>10</sup> მე-6 მუხლის დებულებები ასევე მოცემულია 26-ე პუნქტში და დანართებში ბ და გ.

<sup>11</sup> ICC სტატუტი იხილეთ ბმულზე <http://www.un.org/law/icc/statute/romefra.htm>. ICC სტატუტის მე-8 მუხლის 1 პუნქტში ნათქვამია, რომ დანაშაულის ელემენტები დაეხმარება ICC -ს განმარტოს და მიუსადაგოს მუხლები დანაშაულს მისი იურისდიქციის ფარგლებში. მიღებული ტექსტი ამჟამად არსებული, 2000 წლის ივლისით დათარიღებული ტექსტის საბოლოო პროექტის იდენტური იქნება (PCNICC/2000/1/Add.2); იხილეთ 1998 წელს რომში ჩატარებული დიპლომატიური კონფერენციის საბოლოო აქტის დანართი 1 (რეზოლუცია F).

<sup>12</sup> იხილეთ <http://www.icrc.org/ihl.nsf/WebFULL?OpenView> (ჟენევის კონვენცია და ოქმები);

<http://www.un.org/icty/legaldoc/index.htm> (ICTU-ს წესდება); და

<http://www.ictt.org/ENGLISH/basicdocs/statute.html> (ICTR-ის წესდება). მოთხოვნის შემთხვევაში ეს

- 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ (კონვენცია გენოციდის შესახებ);
- 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ;
- 1973 წლის საერთაშორისო კონვენცია აპართეიდის დანაშაულებათა დაუშვებლობისა და დასჯის შესახებ;
- 1977 წელს მიღებული დამატებითი ოქმი - 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (დამატებითი ოქმი I);
- 1977 წელს მიღებული დამატებითი ოქმი - 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (დამატებითი ოქმი II);
- 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ (კონვენცია წამების წინააღმდეგ);<sup>13</sup>
- საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება იმ პირთა სამართლებრივი დევნისათვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევაზე ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლიდან (ICTY წესდება);
- საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება იმ პირთა სამართლებრივი დევნისათვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გენოციდის მოწყობისათვის ან კანონის სერიოზულ დარღვევისათვის რუანდის ტერიტორიაზე და რუანდის მოქალაქეები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გენოციდის მოწყობისათვის ან კანონის სერიოზულ დარღვევისათვის მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში (ICTR წესდება).

24. არასავალდებულო თუმცა ავტორიტეტულ წყაროებს წარმოადგენს გაეროს გენერალური ასამბლეის საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) 1950 წლის ანგარიში (ნიურბერგის პრინციპების ჩათვლით),<sup>14</sup> 1973 წლის საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები იმ პირთა გამოვლენის, დაპატიმრების, ექსტრადიციისა და დასჯისა, რომლებიც დამნაშავეები არიან სამხედრო დანაშაულში და დანაშაულში კაცობრიობის წინააღმდეგ,<sup>15</sup> მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კოდექსის პროექტი, რომელიც პირობითად მიღებული იყო 1996 წელს ILC-ის მიერ.<sup>16</sup>

---

დოკუმენტები შეიძლება მიიღოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტის, დაცვის პოლიტიკისა და იურიდიული კონსულტაციის სექციიდან, ჟენევა.

<sup>13</sup> რეგიონული დოკუმენტები, რომელიც წამებას ეხება ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. იხილეთ 1985 წლის ინტერ-ამერიკული კონვენცია წამების პრევენციისა და დასჯის შესახებ; 1987 წლის ევროპული კონვენცია წამებისა და არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის შესახებ;

<sup>14</sup> ILC-ის წელიწადეული, 1950 წ., ტომი II.

<sup>15</sup> გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 3074 (XXVIII), 1973 წლის 3 დეკემბერი.

<sup>16</sup> A/CN.4/L.522, 1996 წლის 31 მაისი.

25. მუხლი 1F(ა) შესაბამისი დანაშაულებების აქტიური ინტერპრეტაციის უფლებას იძლევა საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარების გათვალისწინებით. თუმცა ICC წესდება წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების მიერ უახლოეს დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია შესაბამისი დანაშაულებები, თუმცა მხოლოდ მასზე მითითება მუხლი 1F(ა) ინტერპრეტაციის დროს გაუმართლებელია და სხვა დოკუმენტებში გამოყენებული განმარტებებიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. მიუხედავად ყველაფრისა, სტატუტი და ICC-ის იურისპრუდენცია შეიძლება გახდეს მუხლი 1F(ა) მოცემულ დანაშაულებათა ინტერპრეტაციის უმთავრესი წყარო.

### დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ

26. ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც აღნიშნული დანაშაულის განსაზღვრებას იძლევა ლონდონის წესდებაა. ის განსაზღვრავს, რომ მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაული ეს არის ლონდონის ქარტიის შესაბამისად, მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ნიშნავს „აგრესიული ომის დაგეგმვას, მომზადებას, გაჩაღებას ან წარმოებას, ან ომის წარმოებას საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან პირობების დარღვევით, ან მონაწილეობას საერთო გეგმაში ან შეთქმულებაში, რომელიც ზემოაღნიშნული ქმედებების რეალიზაციას ისახავს მიზნად“. ამკარაა, რომ „აგრესიის დანაშაულის“<sup>17</sup> განსაზღვრების მიღება ICC წესდების მიზნებისათვის ( მუხლი 5(1)(d) და 5(2)) უზრუნველყოფს სიზუსტის შემოტანას აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობასთან დაკავშირებით.

27. მართალია არ არის მხოლოდ ხასიათის, მაგრამ „აგრესიის“ ცნების ირგვლივ დისკუსია გაეროს გენერალური ასამბლეის და ILC-ის მიერ საინტერესოა. გაეროს გენერალური ასამბლეა იძლევა აგრესიის შემდეგ განმარტებას: აგრესია არის „სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან ქმედება რომელიც სხვა რაიმე გზით შეუსაბამოა გაეროს წესდებასთან.“<sup>18</sup> ILC-ის მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულთა კოდექსის პროექტის მე-16 მუხლში ნათქვამია: „პირი, რომელიც როგორც ლიდერი ან ორგანიზატორი აქტიურად მონაწილეობს ან გასცემს ბრძანებას სახელმწიფოს მიერ ომის დაგეგმვის, მომზადების, წამოწყების ან წარმოების თაობაზე პასუხისმგებელია აგრესიის დანაშაულზე.“<sup>19</sup>

<sup>17</sup> ICC სტატუტის 121 და 123-ე მუხლების თანახმად, ამგვარი განსაზღვრების მიღება შეუძლებელია სანამ სტატუსის მიღებიდან სულ მცირე შვიდი წელი არ გავა.

<sup>18</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 3312 (XXIX), 1974 წ.

<sup>19</sup> ILC-ს ანგარიში. A/51/10, 1996 წ., თავი II(2), პუნქტები 46-48. ასევე იხილეთ <http://www.un.org/law/ilc/dcodefra.htm>

28. ამკარაა, რომ მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის დაგეგმვისა და წარმოების კონტექსტში შეიძლება. ვინაიდან ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის წარმოება მხოლოდ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მსგავსი ერთეულის მიერ შეიძლება განხორციელდეს, მოვლენათა ნორმალურად განვითარების პირობებში დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ შეიძლება ჩაიდინოს მაღალი უფლებამოსილებისა და თანამდებობის პირებმა, რომლებიც სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტიპის ერთეულს წარმოადგენენ.

29. ამ კონკრეტული საფუძვლით გამორიცხვის პრეცედენტი ცოტაა, (უდავოა, რომ ნაწილობრივ ეს გამოწვეულია ამ სფეროში საერთაშორისო რეგულაციების სიმწირით), ხოლო UNHCR-ისთვის უცნობია რაიმე იურისპრუდენცია, რომელიც უკავშირდება მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულებს, რომელიც ეფუძნება ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის დებულებას. ბევრი ქმედება, რომელიც პოტენციურად შეიძლება ამ ცნების ფარგლებში მოხდეს ნებისმიერ შემთხვევაში ასევე წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს და დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ.

### სამხედრო დანაშაულები

30. სამხედრო დანაშაული წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის<sup>20</sup> (რომელსაც ასევე უწოდებენ ომის სამართალს) მძიმე დარღვევას და შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირების მიერ ან მათ წინააღმდეგ. სამხედრო დანაშაულს განეკუთვნება თავდასხმა ისეთ პირზე, რომელიც ან არ ყოფილა ან აღარ არის ჩაბმული საომარ მოქმედებებში, როგორც არის დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლი, სამხედრო ტყვეები ან სამოქალაქო პირები. თუმცა თავდაპირველად ითვლებოდა, რომ სამხედრო დანაშაულს ადგილი მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ჰქონდა, მაგრამ ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამხედრო დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროსაც.<sup>21</sup> ამან ასახვა ჰპოვა, როგორც ICTY-ს<sup>22</sup> პრაქტიკაში, ასევე

<sup>20</sup> საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შედგება წესებისაგან, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოწოდებულია დაიცვას პირები, რომლებიც არასდროს არ იღებდნენ ან აღარ იღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში და შეზღუდოს ომის წარმოებისათვის გამოყენებული ხერხები და საშუალებები.

<sup>21</sup> თუმცა სამხედრო დანაშაულებათა სრული მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს კონფლიქტის ბუნებაზე. იხილეთ, მაგალითად განსხვავება სამხედრო დანაშაულებებს შორის, რომელიც ჩადენილი იქნა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში და არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ICC-ის სტატუტის მე-8 მუხლში.

<sup>22</sup> *Tadic*-ის საქმეში დაცვა ამაოდ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბრალდებული არ უნდა გაესამართლებინათ ომის კანონებისა და წესების დარღვევისათვის ICTY-ის წესდების მიხედვით, ვინაიდან მსგავსი დარღვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს ჩადენილი, როდესაც ადგილი აქვს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს. თუმცა ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ომის კანონებისა და წესების დარღვევა, რომელსაც ზოგადად სამხედრო დანაშაულს უწოდებენ, მოიცავს აკრძალულ ქმედებებს ჩადენილს როგორც საერთაშორისო, ისე არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს. (ICTY-ის საქმე N.IT-94-1-T, 1995 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ).

ICC-ის წესდებაში. საერთაშორისო კონფლიქტი წარმოიშობა, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს წინააღმდეგ შეიარაღებულ ძალებს გამოიყენებს. არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის დადგენა ხშირად უფრო რთულია. შიდა არეულობა და დამაბულობა, როგორცაა ამბოხება და ძალადობის სხვა ერთეული შემთხვევები არ ითვლება არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად.<sup>23</sup>

31. ICC-ის სტატუტის მე-8 მუხლი იძლევა იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელიც სამხედრო დანაშაულებს მიეკუთვნება, თუმცა ეს სია ამომწურავი არ არის. ამიტომ საჭიროა გათვალისწინებული იქნეს სხვა შესაბამისი დოკუმენტები (მოცემულია დანართში ბ). უფრო მეტიც, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ამზადებს დოკუმენტს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის<sup>24</sup> ზოგადი წესების შესახებ, რომელშიც ასევე შევა დამატებითი ინფორმაცია იმ სამხედრო დანაშაულებათა შესახებ, რომლებიც მოხსენიებულია აღნიშნულ დოკუმენტებში და რომლებიც ასეთად ითვლებიან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

32. სამხედრო დანაშაულებებს, მიუხედავად მისი საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათისა, განეკუთვნება შემდეგი სახის ქმედებები:

- შენევის ოთხი კონვენციით დაცული პირების განზრახ მკვლელობა;
- აღნიშნულ პირთა წამება ან სხვა არაადამიანური მოპყრობა, მათზე ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარების ჩათვლით;
- მძიმე ტანჯვის ან სხეულისათვის და ჯანმრთელობაზე მძიმე ზიანის განზრახ მიყენება;
- სამოქალაქო პირებზე ან ბრძოლიდან გასულ (*hors de combat*) პირებზე განურჩეველი თავდასხმა;
- დაუცველ ტერიტორიებისა და დემილიტარიზებულ ზონებზე თავდასხმა;
- სამოქალაქო პირთა მძევლად აყვანა;

<sup>23</sup> იხილეთ 1949 წლის შენევის კონვენციების II დამატებითი ოქმის 1 მუხლი და ICC სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის d და f ქვეპუნქტები. 1949 წლის შენევის კონვენციების ზოგადი მე-3 მუხლი არ იძლევა ნათელ განმარტებას იმისა თუ რას ეხება არასაერთაშორისო კონფლიქტები, ზოგადად ითვლება, რომ იგი მოიცავს სიტუაციასა უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ეს მოცემულია II დამატებითი ოქმის 1 მუხლში. ეს რამდენადმე ასახულია ICC სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის d და f ქვეპუნქტებში, რომელიც არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს სხვანაირად განმარტავს ისეთი სამხედრო დანაშაულისათვის, რომელიც წარმოიშობა შენევის კონვენციითა ზოგადი მე-3 მუხლის და II დამატებითი ოქმის დარღვევით. Tadic-ის საქმესთან დაკავშირებით ICTY-მ დაადგინა, რომ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს, შენევის კონვენციითა ზოგადი მე-3 მუხლის კონტექსტში, ადგილი აქვს როდესაც სახეზეა „ხანგრძლივი შეიარაღებული ძალადობა სამთავრობო შეიარაღებულ ხელისუფლებასა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის ან ამ ჯგუფებს შორის.“ (საქმე N IT-94-I-T, 1997 წლის 7 მაისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილება).

<sup>24</sup> წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ზოგადი/ჩვეულებითი ნორმები/წესები“, „Customary Rules of International Humanitarian Law“, vols. 1 and 2, Cambridge University Press, გამოვა 2003 წელს; ასევე იხილეთ

<http://icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/iwpList263/CE72DB35175CA0FEC1256D330053FA7B>



- ოკუპირებული რაიონებიდან დაცულ პირთა გადაყვანა ოკუპანტის ტერიტორიაზე;
- ფართომასშტაბიანი განადგურება და საკუთრების მისაკუთრება, რომელიც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით;
- სამხედრო ტყვის ან სამოქალაქო პირისთვის სამართლიანი და შესაბამისი სასამართლო პროცესზე უფლების განზრახ ჩამორთმევა;
- სამხედრო ტყვის იძულება იმსახუროს მტრული ხელისუფლების საჯარისო ნაწილებში;
- ძარცვა;
- აკრძალული იარაღის, მაგალითად, მომწამვლელი აირების გამოყენება.

### დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

33. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ითვლება მოსახლეობის წინააღმდეგ უაღრესად არაადამიანური მოპყრობა ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური თავდასხმის პირობებში. თუმცა შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ქმედებას მიეცეს, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, ისე სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია. მაშინ როდესაც ლონდონის წესდება და ICTY წესდება<sup>25</sup> აცხადებს, რომ ამგვარი დანაშაულის ჩადენა შეიძლება მოხდეს საერთაშორისო ან არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ამჟამად აღიარებულია, რომ დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ შეიძლება ჩადენილი იქნეს მშვიდობიან პერიოდშიც. ეს სიახლე დამტკიცებულია ICC სტატუტითაც, რაც ამ კატეგორიას ყველაზე ფართო კატეგორიად აქცევს რაც კი მოცემულია IF(ა) მუხლში.

34. ლონდონის წესდება პირველი საერთაშორისო დოკუმენტი იყო, რომელმაც შემოიღო ტერმინი „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“, როგორც საერთაშორისო დანაშაულებათა დამოუკიდებელი კატეგორია. ის დამატებით განმარტეს ICTY, ICTR და ICC წესდებებში (იხილეთ დანართი გ). მაგალითად, ICC სტატუტის მე-7 მუხლში ნათქვამია, რომ მკვლელობა, გაჟლეტა, დამონება, დეპორტაცია ან იძულებითი გადაადგილება, დატყვევება ან ფიზიკური თავისუფლების სხვა სახის სასტიკი აღკვეთა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების დარღვევა, წამება, გაუპატიურება და სხვა სახის მძიმე სექსუალური ძალადობა, დევნა, ადამიანთა იძულებითი გაქრობა, აპართეიდი და სხვა მსგავსი ტიპის არაჰუმანური ქმედება, როდესაც ეს ქმედებები ჩადენილია, სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური თავდასხმის ფარგლებში,<sup>26</sup> წარმოადგენს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ.

<sup>25</sup> იხილეთ ICTY-ს საქმე *Tadic* № IT-94-1-D (გადაწყვეტილება იურისდიქციის თაობაზე, 1995 წლის 2 ოქტომბერი).

<sup>26</sup> „თავდასხმა ნებისმიერ სამოქალაქო პირზე“ გულისხმობს დაჟინებულ ქცევას, რომელიც დაკავშირებულია [მსგავსი] ქმედებების ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ მრავალჯერად ჩადენასთან, რომელიც ხორციელდება რათა გატარდეს სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკა რომელიც მიმართულია მსგავსი თავდასხმის განხორციელებისათვის ან ასეთი პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“. (ICC სტატუტი, მე-7 მუხლი, მე-2 (ა) პუნქტი).

35. გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებული დანაშაულია; ICC<sup>27</sup> სტატუტის მე-6 მუხლში ციტირებულია 1948 წლის გენოციდის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლში მოცემული განმარტება:

...ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება თუ ის ჩადენილია რომელიმე ეროვნების, ეთნოსის, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის ნაწილობრივი ან სრული განადგურების განზრახვით, როგორც არის:

ა) ამ ჯგუფის წევრთა დახოცვა;

ბ) ამ ჯგუფის წევრებისათვის სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება ან მათში ფსიქიკური აშლილობის გამოწვევა;

გ) რომელიმე ჯგუფისათვის განზრახ ისეთი ცხოვრების პირობების შექმნა, რაც გამოიწვევს მათ სრულ ან ნაწილობრივ განადგურებას;

დ) ზომები, რომელიც მოწოდებულია აღკვეთოს შვილოსნობა კონკრეტულ ჯგუფში;

ე) ერთი ჯგუფის ბავშვების მეორე ჯგუფისთვის იძულებით გადაცემა.

36. ICC სტატუტი ადასტურებს, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული განსხვავდება ცალკეული სამართალდარღვევისაგან ან საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისაგან, ვინაიდან ის უნდა იყოს ფართომასშტაბიანი ან სამოქალაქო მოსახლეობაზე სისტემატიური თავდასხმის ნაწილი. რიგ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის ან მძიმე და სისტემატიური დისკრიმინაციის პოლიტიკის შედეგი. არაადამიანური ქმედება ჩადენილი პირის წინააღმდეგ არის ერთიანი სისტემის ან სისტემატიური და განმეორებითი ქმედებების სერიის ნაწილი.<sup>28</sup> კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ამოცნობა შესაძლებელია კონკრეტული ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, შედეგების მასშტაბიდან გამომდინარე, იმის მიხედვით თუ რა იყო ცნობილი დამნაშავისათვის (დამნაშავეებისათვის), ასევე იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომლის დროსაც მსგავსი ქმედების ჩადენა მოხდა.

<sup>27</sup> თუმცა გენოციდი ICC სტატუტის სხვა დებულებაშია განხილული, რომელიც ეძღვნება დანაშაულებს კაცობრიობის წინააღმდეგ, ის მაინც უნდა ჩაითვალოს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ იმ მიზნისათვის, რომელიც 1 F (ა) მუხლშია ჩამოყალიბებული.

<sup>28</sup> იხილეთ Tadic-ის საქმის ICTY-ს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების 271-ე პუნქტი ( IT-94-1-T, 15 1999 წლის 15 იანვარი).

## ბ. 1F(ბ) მუხლი: არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული

37. 1F(ბ) მუხლში საუბარია იმაზე, რომ პირი შესაძლოა გამოირიცხოს საერთაშორისო დაცვიდან, თუ მას ჩადენილი აქვს „არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული“ თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ და მანამ სანამ ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული. თუმცა ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციასა (IRO) და UNHCR-ის UN წესდებაში მოხსენიებულია როგორც დანაშაული, რომელიც ექვემდებარება ექსტრადიციას. 1951 წლის კონვენციაში ეს ფორმულირება არ არის გამოყენებულია, მასში უფრო დეტალურად არის აღწერილი დანაშაულის ხასიათი. სახელმწიფოების პრაქტიკა ხსენებული დებულების გამოყენებასთან დაკავშირებით განსხვავდება, თუმცა როგორც კანადის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, 1F(ბ) მუხლი „შეიცავს დამაბალანსებელ მექანიზმს, ვინაიდან განსაზღვრებების ‘მძიმე’ და ‘არაპოლიტიკური’ დაკმაყოფილება უნდა მოხდეს.“<sup>29</sup>

## მძიმე დანაშაული

38. აშკარაა, რომ ტერმინს „მძიმე დანაშაული“ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ცხადია, რომ 1951 წლის კონვენციის შემქმნელებს არ სურდათ პირი გამოერიცხათ საერთაშორისო დაცვიდან, რომელთაც ესაჭიროებოდათ საერთაშორისო დაცვა, თუმცა ჩადენილი ჰქონდათ უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენის გამო. უფრო მეტიც, დანაშაულის სიმძიმე უნდა შედარდეს საერთაშორისო სტანდარტებს და არა მიმღები ქვეყნის ან წარმოშობის ქვეყნის სტანდარტებს. მაგალითად, იმ ქმედებათა აკრძალვა, რომელიც დაშვებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით (მაგალითად, სიტყვის თავისუფლება) არ უნდა ჩაითვალოს „დანაშაულად“, მით უმეტეს მძიმე ხასიათის.

39. დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრად აუცილებელი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ქმედების ბუნება;
- ფაქტობრივად მიყენებული ზიანი;
- რა სახის პროცედურა იქნა გამოყენებული დანაშაულის ჩამდენის დევნისას;
- რა სახის სასჯელია გათვალისწინებული აღნიშნული დანაშაულისათვის;
- თვლის თუ არა სახელმწიფოთა უმრავლესობა მსგავს ქმედებას სერიოზულ დანაშაულად.

40. სახელმძღვანელოში<sup>30</sup> მითითებულია, რომ „მძიმე“ დანაშაული ეს არის „სისხლის სამართლის დანაშაული რომელიც უმაღლესი სასჯელით ისჯება, ან განსაკუთრებით მძიმე დასჯადი ქმედება,“ რაც უნდა განიხილებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით. „სერიოზულ“ დანაშაულთა

<sup>29</sup> *Pushpanathan v. Canada (Minister of Citizenship and Immigration)*, კანადის უზენაესი სასამართლო, [1998] 1 SCR 982, პუნქტი 73.

<sup>30</sup> იხილეთ განმარტებითი ბარათის 155-ე პუნქტი.

მაგალითებია მკვლელობა, გაუპატიურება, ცეცხლის წაკიდება და შეიარაღებული ძარცვა. რიგი სხვა დანაშაულებები ასევე შეიძლება სერიოზულად ჩაითვალოს თუ ამ დროს გამოიყენება მომაკვდინებელი იარაღი, იწვევს პირთა სერიოზულ დაშავებას ან თუ არსებობს მტკიცებულება ამგვარ დანაშაულთა სისტემატური ხასიათის შესახებ ან სხვა მსგავსი ფაქტორების დროს. მეორე მხრივ, ისეთი დანაშაული, როგორცაა წვრილმანი ქურდობა ან საკუთარი მოხმარებისათვის აკრძალული ნარკოტიკული საშუალებების ფლობა, არ აკმაყოფილებს 1F(ბ) მუხლის დანაშაულის სერიოზულობისათვის დადგენილ ზღვარს.

### არაპოლიტიკური დანაშაული

41. სახელმწიფოთა პრაქტიკა „არაპოლიტიკური“ დანაშაულის ცნებასთან მიმართებაში განსხვავებულია, ზოგი მათგანი უფრო ზუსტად მისდევს ექსტრადიციის კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულ მიდგომებს. მძიმე დანაშაული უნდა ჩაითვალოს არაპოლიტიკურად, როდესაც კონკრეტულ ჩადენილ დანაშაულში სხვა მოტივი (მაგალითად, პირადი მიზეზი ან პირადი მოგება) სჭარბობს. როდესაც დანაშაულსა და სავარაუდო პოლიტიკურ მიზანს შორის კავშირი ნათლად არ ჩანს ან როდესაც კონკრეტული ქმედება არ შეესაბამება სავარაუდო პოლიტიკურ მიზანს, მაშინ სჭარბობს არაპოლიტიკური მოტივი.<sup>31</sup> ამგვარად, დანაშაულის პოლიტიკური ხასიათის შეფასებისას მნიშვნელოვან ფაქტორებად გვევლინება მოტივაცია, გარემოება, მეთოდები და მიზნის პროპორციულობა. ძალადობის აღმამფოთებელი ქმედება, რომელსაც

---

<sup>31</sup>იხილეთ განმარტებითი ბარათის 152-ე პუნქტი. ამგვარი მიდგომა მრავალი ქვეყნის იურისპრუდენციაშია ასახული. საქმეში *Aguirre-Aguirre v. Immigration and Naturalization Service (INS)*, 119 S.Ct. 1439 (1999წ.) აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა იმ მიდგომას, რომელიც ადრე გამოყენებული იქნა საქმეში *McMullen v. INS*, 788 F. 2d 591 (9th Circuit 1986წ), რომლის თანახმად „არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული“ ეს არის დანაშაული, რომელიც ჩადენილი იქნა არა „ნამდვილად პოლიტიკური მოტივიდან გამომდინარე“, მიმართულია არა „პოლიტიკური ორგანიზაციის ან ... სახელმწიფოებრივი მოწყობის შეცვლისაკენ“, არ არსებობს პირდაპირი „მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და განცხადებულ პოლიტიკურ მიზანს ან საგანს შორის“, ან როდესაც ქმედება მიზნის პროპორციული არ არის. საქმესთან *T. v. Secretary of State for the Home Department*, [1996წ] Imm AR 443 დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ დანაშაული ჩაითვლება პოლიტიკურად 1 F(ბ) მუხლის მიზნებისათვის, თუ ის ჩაიდინეს პოლიტიკური მიზნებისათვის ( ანუ, მთავრობის გადაგდება ან თუ გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლას) და თუ არსებობს საკმარისად ახლო და პირდაპირი კავშირი დანაშაულსა და სავარაუდო მიზანს შორის. იმისათვის, რომ დადგინდეს უკანასკნელი, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, იყო თუ არა გამოყენებული საშუალებები სამხედრო/სამთავრობო მიზნების წინააღმდეგ და იყო თუ არა იმის ალბათობა, რომ ის მიმართული იყო მოქალაქეთა განურჩეველი მკვლელობისაკენ ან მათთვის ფიზიკური ზიანის მიყენებისაკენ. საქმეზე *Wagner v. Federal Prosecutor and the Federal Justice and Police Department* შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ზოგადი სისხლის სამართლის დანაშაული ან სამართალდარღვევა ფარდობითად პოლიტიკურად ითვლება გარემოებებიდან გამომდინარე და, კარმოდ, თუ ამ ქმედების ჩადენაში დამნაშავის მოტივაცია და მიზანი ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა.“ ეს ასეთად მაშინ ითვლება, თუ სამართალდარღვევა „ჩადენილ იქნა სახელმწიფოში ძალაუფლებისათვის ბრძოლის კონტექსტში ან იმისათვის, რომ ძალაუფლებიდან გადაეყენებინათ პირი, რომელიც ახშობდა ოპოზიციის ნებისმიერ გამოვლენას. უნდა არსებობდეს მჭიდრო, პირდაპირი და აშკარა კავშირი ამ ქმედებებსა და სავარაუდო მიზანს შორის.“ (საზოგადოებრივი სამართლის მე-2 სექციის 1980 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილების არაოფიციალური თარგმანი. BGE, 106 1B 309.)

როგორც წესი „ტერორისტული“ ბუნება აქვს, ვერ დააკმაყოფილებს პოლიტიკური მოტივების სიჭარბის კრიტერიუმს, ვინაიდან ის ვერანაირი პოლიტიკური მიზნის პროპორციული ვერ იქნება.<sup>32</sup>

42. ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებებში სულ უფრო ხშირად მინიშნებულია, რომ რიგი დანაშაულებებისა, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ტერორისტულ ხასიათს ატარებს, ხელშეკრულების მიზნებისათვის უნდა ჩაითვალოს არაპოლიტიკურად (თუმცა აღნიშნულ ხელშეკრულებებში, როგორც წესი, შესულია დებულება დევნის დაუშვებლობის შესახებ). მსგავსი მინიშნება არსებითია დანაშაულის პოლიტიკური ელემენტის განსაზღვრისას 1F(ბ) მუხლის კონტექსტში, მაგრამ ის მაინც უნდა განიხილებოდეს ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.<sup>33</sup>

43. იმისათვის, რომ დანაშაული ბუნებით პოლიტიკურად ჩაითვალოს, პოლიტიკური მიზანი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. პოლიტიკური მიზანი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს არ შეიძლება გამართლებული იყოს. ეს შეესაბამება ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებში მოცემულ დებულებებს, სადაც დაკონკრეტებულია, რომ მათში არ იგულისხმება, რომ შეიძლება ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიმართულია სხვა პირთა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განადგურებისაკენ.

#### თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ

44. 1F(ბ) მუხლი მოითხოვს, რომ დანაშაული ჩადენილი იყოს „თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ მანამ სანამ [პირი] ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნა მიღებული.“<sup>34</sup> ტერმინი „თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის გარეთ,“ როგორც წესი გულისხმობს წარმოშობის ქვეყანას, თუმცა ის შეიძლება იყოს სხვა ქვეყანაც გარდა თავშესაფრის მიმცემი ქვეყნისა.<sup>35</sup> ეს ქვეყანა პრინციპში შეუძლებელია იყოს ქვეყანა, რომელსაც განმცხადებელმა თავშესაფრის თხოვნით მიმართა.<sup>36</sup> პირი, რომელიც ჩაიდენს „არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაულს“ თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებში, ექვემდებარება სისხლის სამართლებლივ დევნას ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სახეზეა განსაკუთრებით

<sup>32</sup> იხილეთ ასევე 81-ე პუნქტი ქვემოთ.

<sup>33</sup> იხილეთ ზემოთ *McMullen v. INS* სქოლიო 31. დამატებით უფრო დეტალური ანალიზი ექსტრადიციასა და მისი კავშირის შესახებ გამორიცხვის დებულებებთან იხილეთ S.Kapferer, “The Interface between Extradition and Asylum”, Legal and Protection Policy Research Series, UNHCR, Department of International Protection, PPLA (სავარაუდოდ გამოვა 2003 წელს).

<sup>34</sup> იხილეთ პუნქტები 11 და 12 ლტოლვილის სტატუსის პროცედურიდან გამორიცხვის დებულების დროითი ასპექტის შესახებ.

<sup>35</sup> იხილეთ ასევე განმარტებითი ბარათის 153-ე პუნქტი.

<sup>36</sup> „ბოლოს კონფერენცია დათანხმდა რომ დღის წესრიგში იდგა ის დანაშაულებები, რომლებიც ჩადენილი იყო შემოსვლამდე. . .“, გ.ს.გუდვინ-გილი, *ლტოლვილის სტატუსი საერთაშორისო სამართალში*, (G.S.Goodwin-Gill, *The Refugee in International Law*), Claredon Press, Oxford, მე-2 გამოცემა, 1996 წ. გვ.102

მძიმე დანაშაული, მასზე ვრცელდება 1951 წლის კონვენციის მუხლების 32 და 33(2)-ის მოქმედება; მასზე არ ვრცელდება 1F(ბ) მუხლით განსაზღვრული გამორიცხვის დებულებები. კონვენციის ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს: 1F(ბ) მუხლით განსაზღვრული დანაშაულებები, რომელიც ჩადენილია ქვეყანაში შესვლის შემდეგ დაექვემდებარება ქვეყანაში მოქმედ სისხლის სამართლის მკაცრ პროცედურებს, და/ზოლო საჭიროების შემთხვევაში ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს კონვენციის 32 და 33(2) მუხლები.

45. იშვიათად ეროვნული სასამართლოები 1951 წლის კონვენციის 1F(ბ) მუხლს აღიქვამდნენ ისე თითქოს, ნებისმიერი არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყო პირის მიერ ოფიციალურად ლტოლვილის სტატუსის მინიჭებამდე ავტომატურად იწვევდა 1F(ბ) მუხლის ამოქმედებას. ამგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, განმცხადებელი, რომელმაც თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული მანამ სანამ მოხდებოდა მისი ლტოლვილად აღიარება, ამოვარდებოდა ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურიდან. UNHCR არასწორად მიიჩნევს ფრაზის „მანამ სანამ დაიშვებოდა.... ლტოლვილად“ იმ პერიოდზე გავრცელებას, როდესაც პირი ქვეყანაში იმყოფებოდა მისი ლტოლვილად აღიარებამდე, ვინაიდან ლტოლვილის სტატუსის დადგენა, მხოლოდ დეკლარირებაა.<sup>37</sup> „დაშვებაში“ ამ შემთხვევაში იგულისხმება პირის ამ ქვეყანაში ფიზიკური ყოფნა.

#### გ. მუხლი 1F(გ): ქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს

46. 1F(გ) მუხლის მიხედვით საერთაშორისო დაცვა არ ვრცელდება პირზე, რომელსაც „ბრალი ედება ისეთი ქმედებების ჩადენაში, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს.“<sup>38</sup> გაეროს მიზნები და პრინციპები ჩამოყალიბებულია გაეროს წესდების 1 და მე-2 მუხლებში<sup>39</sup>, თუმცა მათში მოცემული ფორმულირება იმდენად ფართო და

<sup>37</sup> ანალოგიურად, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ პირის მიმართ, რომელიც აღიარებული იყო ლტოლვილად, მაგრამ რომელმაც ჩაიდინა დანაშაული თავშესაფრის მიმცემ ქვეყანაში დაადგინა, რომ მაშინაც კი როდესაც 33-ე მუხლის მე-2 პუნქტით დასაშვებია ლტოლვილის მისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება, ეს მუხლი არ იძლევა ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის უფლებას (*Pham*, 1997 წლის 21 მაისი). სახელმწიფო საბჭომ ასევე დაადგინა, რომ დანაშაული, რომელიც ჩაიდინა თავშესაფრის მაძიებელმა მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ექვემდებარება დასჯად სანქციებს და პირი შეიძლება გაძევებული იქნეს 1951 წლის 32 და 33-ე მუხლების თანახმად, მაგრამ არ ამართლებს ამ პირისათვის ლტოლვილის სტატუსის ჩამორთმევას (*Rajkumar*, 1998 წლის 28 სექტემბერი).

<sup>38</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით უფლება ეძიო დევნისაგან თავშესაფარი სხვა ქვეყნებში და ისარგებლო ამ თავშესაფრით „არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს წამდვილად წარმოადგენს არაპოლიტიკური დანაშაულისა, ან/და ქმედების ჩადენა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს“.

<sup>39</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანია: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ერებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება; სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება და ადამიანის უფლებების პატივისცემის ხელშეწყობა; და იყოს ერთა ქმედებების ჰარმონიზაციის ცენტრი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებია: სუვერენული თანასწორობა; ვალდებულებათა

ზოგადია, რომ არ იძლევა იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელიც პირს ჩამოართმევდა ლტოლვილის სტატუსს. არც მოსამზადებელ მასალას (*travaux préparatoires*) შეუძლია დიდი დახმარების გაწევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დებულების ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა არის მინიშნება იმაზე, რომ ამ დებულების მიზანი იყო ადამიანის უფლებათა იმ დარღვევების მოცვა, რომელიც თუმცა ვერ ჩაითვლება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად, თავისთავად მაინც მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. ფაქტობრივად, როგორც 1951 წლის კონვენციის შემქმნელებმა ივარაუდეს, აღნიშნული დებულების გამოყენება იშვიათად ხდება.<sup>40</sup> ხშირად 1F(ა) და 1F(ბ) მუხლები შეიძლება მიესადაგოს აღნიშნულ ქმედებას. დებულების ბუნდოვანებიდან, სახელმწიფოთა ერთიანი პრაქტიკის არ არსებობიდან და მუხლის ბოროტად გამოყენების საშიშროებიდან გამომდინარე,<sup>41</sup> 1F(გ) მუხლის ინტერპრეტაცია ვიწროდ უნდა მოხდეს.

47. გაეროს პრინციპები და მიზნები მრავალნაირად არის ასახული, მაგალითად მრავალმხრივ კონვენციებში, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის ეგიდით იქნა მიღებული, ასევე უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქმედებისთვის, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტებს არღვევს, 1F(გ) მუხლის კვალიფიკაციის მიცემა არ იქნება შესაბამისობაში აღნიშნული დებულების საგნისა და მიზნის. აღნიშნული მუხლი ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომლებიც ძირეულად ლახავს გაეროს მიზნებსა და პრინციპებს. ამგვარად, 1F(გ) მუხლის ამოქმედება უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს, მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს გაეროს ეგიდით საერთაშორისო საზოგადოების თანაარსებობის საფუძვლებს. 1F(გ) მუხლის საკვანძო სიტყვების - „ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს“ - ინტერპრეტაცია შეზღუდულად უნდა მოხდეს და გამოყენებული იქნეს მხოლოდ ისეთ სიტუაციებში, როდესაც ქმედება და მისი შედეგი გადალახავს მაღალ ზღვარს. ამ ზღვრის განსაზღვრა უნდა მოხდეს კონკრეტული ქმედების სიმძიმეიდან, ორგანიზების საშუალებებიდან, საერთაშორისო ზემოქმედებიდან და გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, ასევე იქიდან გამომდინარე თუ რა გავლენა შეიძლება მან იქონიოს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. ამგვარად, თუ დანაშაული გავლენას ახდენს საერთაშორისო

---

კეთილსინდისიერად შესრულება; უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარება; ტერიტორიული მთლიანობის ან სხვა სახელმწიფოსაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავება; გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის საქმიანობაში დახმარება.

<sup>40</sup> Grahl-Madsen წერს: ანგარიშებიდან აშკარაა, რომ იმათ ვისაც სურდათ ამ დებულების შეტანა მხოლოდ ბუნდოვნად ესმით ფრაზის: „ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს“... მნიშვნელობა. [თ]ავისთავად ცხადია, რომ ეკონომიკისა და სოციალური საბჭოს სოციალურმა კომიტეტმა გულწრფელი შეშფოთება გამოხატა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ეს დებულება იმდენად ბუნდოვანია, რომ შეიძლება ბოროტადაც კი იქნეს გამოყენებული. ეტყობა შეთანხმება იქნა მიღწეული იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ფრაზა ძალიან შეზღუდულად უნდა იყოს ინტერპრეტირებული. A. Grahl-Madsen, *The Status of Refugees in International Law*, Sijthoff, Leyden, 1972, vol. 1, p. 283.

<sup>41</sup> 1 F (გ) მუხლის ირგვლივ მოლაპარაკებების დროს, დელეგატმა პაკისტანიდან, დაეთანხმა რა კანადის წარმომადგენელს, განაცხადა, რომ ეს ფრაზა „იმდენად ბუნდოვანია, რომ საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, რომელსაც არ სურს ლტოლვილის სტატუსის მინიჭება, ბოროტად გამოიყენოს ის,“ (E/AC.7/SR.160, c. 16).

მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და ქვეყნებს შორის მშვიდობიან ურთიერთობებზე, ის დაექვემდებარება აღნიშნულ დებულებას, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა სერიოზული და მუდმივი დარღვევა.

48. გარდა ამისა, გაეროს წესდების 1 და მე-2 მუხლებში ძირითადად ჩამოყალიბებულია ის ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთობის დროს უნდა დაიცვან, პრინციპში ამ დებულებების (1F(გ) მუხლის კონტექსტში) დარღვევა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი ძალაუფლება და უკავიათ თანამდებობები თავიანთ ქვეყნებში ან სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნში. ამგვარად, სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციაზე დელეგატმა, რომელიც მოითხოვდა ამ დებულების ჩართვას, განაცხადა, რომ ეს არ იყო მიმართული „ქუჩაში გამკლელი ადამიანის“ წინააღმდეგ. UNHCR-ის სახელმძღვანელოს 163-ე პუნქტში ნათქვამია, რომ „იმისათვის, რომ პირმა ჩაიდინოს აღნიშნული პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება, მას უნდა ჰქონდეს ამის ძალაუფლება გაეროს წევრ-ქვეყანაში და ჰქონდეს საშუალება გავლენა მოახდინოს ამ სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პრინციპების დარღვევაზე.“<sup>42</sup> ზოგიერთ სახელმწიფოში არის მითითება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული დებულება ვრცელდება იმ პირზე, რომელიც არ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან ან მის მსგავს წარმონაქმნთან, რაც არ ასახავს ამ საკითხზე არსებულ ზოგად გაგებას.<sup>43</sup> ასევე გაუმართლებელია აღნიშნული დებულების ფართოდ გამოყენების მცდელობები, და მათი გავრცელება ისეთ დანაშაულებზე როგორც არის მაგალითად ნარკოტიკებით ვაჭრობა<sup>44</sup> ან ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

---

<sup>42</sup> იხილეთ, მაგალითად, საქმე X და ოჯახი, 1996 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება, 1996/18, შვეიცარიის სააპელაციო კომისიამ თავშესაფრის საქმეებთან დაკავშირებით ისარგებლა 1 F (ა) და (გ) მუხლით სომალის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ; ასევე საქმე *Nader*, საფრანგეთის ლტოლვილთა საკითხების სააპელაციო კომისიის გაერთიანებული სექციების (Commission des recours des réfugiés, sections réunies) 2001 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება სამხრეთ ლიბანის არმიის მაღალი რანგის ოფიცრის საქმეზე, რომელიც ხელმძღვანელობდა მილიციის სპეციალურ ძალებს. სხვა შემთხვევებში 1 F (გ) მუხლის თანახმად, ლტოლვილის სტატუსის გაუქმება არ მომხდარა იმის საფუძველზე, რომ პირის რანგი არ იყო საკმარისად მაღალი. იხილეთ, მაგალითად შვეიცარიის სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებები თავშესაფრის საქმეებთან დაკავშირებით : Y.Z. და ოჯახი (1998 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება) და D.M. (2001 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება) (დაბალი რანგის ოფიცერი ყოფილ ზაირში). მეორე მხრივ, ბელგიის ლტოლვილთა მუდმივმოქმედა კომისიამ ლტოლვილის სტატუსი მოუხსნა სამხედრო მოსამსახურეს DSP იმის საფუძველზე, რომ განმცხადებელს არ შეეძლო უფლებებზე თავისი ქვედანაყოფის როლი და დავალების ბუნება, რომელსაც მას ორი წლის განმავლობაში აძლევდნენ (CPRR, R3468, 1996 წლის 25 ივნისი). იხილეთ: “Exclusion Clauses in Europe – A Comparative Overview of State Practice in France, Belgium and the United Kingdom”, 12 *International Journal of Refugee Law*, 2000, p. 195 at 212.

<sup>43</sup> *Pushpanathan*-ის შემთხვევაში (იხილეთ სქოლიო 29), კანადის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუმცა 1 F (გ) მუხლის მისადაგება არა-სახელმწიფოს აგენტებთან რთულია, ამის შესაძლებლობა „a priori არ უნდა გამოირიცხოს“ (68-ე პუნქტი). ასევე გაუმართლებელია აღნიშნული დებულების ფართოდ გამოყენების მცდელობები, მაგალითად ნარკოტიკებთან ან კონტრაბანდასთან/ მიგრანტების უკანონო გადაყვანასთან დაკავშირებით.

<sup>44</sup> *Pushpanathan*-ის შემთხვევაში (იხილეთ სქოლიო 29), კანადის უზენაესმა სასამართლომ უარყო არგუმენტი რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა ხდება 1F (გ) მუხლის ფარგლებში და დააბრუნა საქმე ლტოლვილის სტატუსის დამდგენ განყოფილებაში, რომელმაც პირი ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხა 1 F(ა)



49. თუმცა სულ უფრო სერიოზული განხილვის თემა ხდება საკითხი იმის თაობაზე თუ რამდენად ვრცელდება 1F(გ) მუხლი საერთაშორისო ტერორიზმის აქტზე, ვინაიდან უშიშროების საბჭომ რეზოლუციებში 1373 (2001 წ) და 1377 (2001 წ) განმარტა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის აქტები საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას და ასევე ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს. თუმცა, მხოლოდ იმის მტკიცება - თუნდაც ეს იყოს გაეროს დოკუმენტში - რომ რაღაც ქმედებას „ტერორისტული“ ხასიათი აქვს, არ იქნებოდა საკმარისი რათა მასზე გავრცელებულიყო 1F(გ) მუხლის მოქმედება, კერძოდ იმიტომ, რომ „ტერორიზმს“ არ გააჩნია ზუსტი ან საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია. უმჯობესია ყურადღება „ტერორიზმის“ იარლიყის მიკერებაზე არ გამახვილდეს. იმისათვის, რომ 1F(გ) მუხლი ტერორისტული აქტების მიმართ სწორად იქნეს მისადაგებული, უმჯობესია გამოყენებულ იქნეს უფრო სანდო კრიტერიუმები - რამდენად დიდია ქმედების საერთაშორისო მნიშვნელობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის მათი სიმძიმის, საერთაშორისო ზემოქმედებისა და შედეგების თვალსაზრისით. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აზრით, მხოლოდ ის ტერორისტული აქტები, რომელთაც ახასიათებთ უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში მოცემული სიმძიმე, შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ პირის გამორიცხვა მოხდეს 1F(გ) მუხლის შესაბამისად. 1F(გ) მუხლის ზოგადი მიდგომის გათვალისწინებით, საერთაშორისო ტერორიზმის აღმამფოთებელი აქტები, რომელიც გავლენას ახდენს გლობალურ უსაფრთხოებაზე ნადვილად მოხვდება 1F(გ) მუხლის მოქმედების ქვეშ, თუმცა ამ დებულების თანახმად მხოლოდ ჯგუფის იმ ლიდერებზე გავრცელდება გამორიცხვა, რომლებიც პრინციპში პასუხისმგებლები არიან მომხდარ სისასტიკეზე. როგორც ამაზე საუბარი იყო 41, 79-84-ე პუნქტებში, ტერორისტული აქტივობა გამორიცხვის საფუძველი შესაძლოა გახდეს ამ მუხლის სხვა დებულებების შესაბამისადაც.

#### **დ. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა**

50. ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საკითხი ხშირად დამოკიდებულია იმაზე თუ რა პირადი პასუხისმგებლობა აკისრია ადამიანს აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით. ქვემოთ განხილულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები, თუმცა განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და გაეროს პრინციპებისა და მიზნების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებზე. იმის გამო, რომ მშვიდობის (1F(ა)) წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა ხდება ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის დაგეგმვის ან წარმოების დროს, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტი მხოლოდ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მსგავსი ინსტიტუტის მიერ ხდება, ტრადიციულად ამ დებულებით განსაზღვრული პირადი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაღალი უფლებამოსილებისა და თანამდებობის მქონე პირს

---

მუხლის საფუძველზე და 1F (გ) მუხლის გათვალისწინებითაც მხოლოდ თამილე ვეფხვებთან ასოცირების და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო. კანადის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება და დაეყრდნო 1998 წლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა სიღრმისეულად საკითხის შესწავლა აღარ განხორციელებულა. (IMM-4427-01, 2002 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება).

ეკისრება, რომელიც წარმოაგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მსგავს ინსტიტუტს. (მას შემდეგ რაც მოხდება ICC-ის განსაზღვრების დამტკიცება, იგი უფრო მეტ ნათელს მოჰყვანს აღნიშნულ საკითხს.)<sup>45</sup> ანალოგიურად, როგორც ადრე უკვე ითქვა, ზოგადად მიიჩნევა, რომ 1F(გ) მუხლში მოცემული ქმედებები, შეიძლება მხოლოდ იმ პირების მიერ იქნას ჩადენილი, რომელთაც სახელმწიფოში ან სახელმწიფოს მსგავს ინსტიტუტში<sup>46</sup> მაღალი თანამდებობი უკავიათ. სამხედრო დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული შესაძლოა ჩაიდინონ პირებმა რომელსაც აქვთ ან არ აქვს კავშირი სახელმწიფოსთან.

51. ზოგადად ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და შესაბამისად გამორიცხვის საფუძველი წარმოიშობა მაშინ, როდესაც პირი ჩაიდენს ან არსებით წვლილს შეიტანს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, იცოდა რა მან იმის თაობაზე, რომ მისი ქმედება ან უმოქმედობა ხელს შეუწყობდა სისხლის სამართლის ქმედების განხორციელებას. ამგვარად, პირის ჩართულობის ხარისხი ცალკეულ შემთხვევაში ყურადღებით უნდა გაანალიზდეს. დაუშვებელია, რომ ჩადენილმა საშინელმა და აღმაშფოთებელმა ქმედებებმა დაჩრდილონ აღნიშნული საკითხი. ნაცისტების რეჟიმის მიერ ჩადენილ საშინელებათა მიუხედავად ნიურბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა არ დააკისრა კოლექტიური პასუხისმგებლობა „პირებს რომელთათვისაც უცნობი იყო ორგანიზაციის კრიმინალური მიზნების ან ქმედებების შესახებ ან იმათ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ იყვნენ გაწევრიანებულები, თუ ისინი პირადად არ მონაწილეობდნენ“ კონკრეტული ქმედებების განხორციელებაში. ტრიბუნალის განცხადებით: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა . . . მორალურ თავისუფლებაშია, დამნაშავის უნარში გააკეთოს არჩევანი იმ ქმედებასთან დაკავშირებით რის ჩადენასაც მას აბრალდებენ.“<sup>47</sup> ეს მიდგომა ასევე ასახულია ICC სტატუტის 25-ე და 28-ე მუხლებში. 25-ე მუხლში ჩამოთვლილია მისი მოქმედების სფეროში არსებულ დანაშაულზე პირის პასუხისმგებლობის საფუძველები. გარდა დანაშაულის ფაქტობრივი ჩადენისა, სისხლისსამართლებლივ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს ბრძანების გაცემა, წაქეზება, შეგულიანება, ხელშეწყობა, წახალისება, დახმარების გაწევა ადამინთა ჯგუფისათვის, რომლებიც საერთო მიზნისათვის, მცდელობისათვის იღწვიან, ხოლო გენოციდის შემთხვევაში - დანაშაულის ჩადენისაკენ საჯაროდ წაქეზება.

52. თანამედროვე ფორმულირებები სისხლისსამართლებრივი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბუნების შესახებ შეიძლება ვნახოთ ICTY და ICTR-ის იურისპრუდენციაში; კერძოდ, ICTY-ის გადაწყვეტილება საქმეზე *Kvočka et al* (ომარსკასა და კერატემპის ბანაკები),<sup>48</sup> სადაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველები

<sup>45</sup> იხილეთ სქოლიო 11.

<sup>46</sup> იხილეთ 48-ე პუნქტი.

<sup>47</sup> ციტატა N. Weisman, “Article 1F(a) of the 1951 Convention Relating to the Status of Refugees in Canadian Law”, 8 *International Journal of Refugee Law*, 1996წ., გვ. 111 - 132.

<sup>48</sup> საქმე No. IT-98-30/1, სასამართლო პალატის 2001 წ 2 ნომბერის გადაწყვეტილება. სასამართლო პალატამ განავითარა მიდგომა, რომელიც მიღებული იყო ICTY-ის სააპელაციო პალატის მიერ *Tadic*-ის საქმეში, საქმე No. IT-94-1, 1999 წლის 15 ივლისი.

განხილული იყო ოთხ კატეგორიაში: წაქეზება, ჩადენა, ხელშეწყობა და წახალისება, ასევე ერთობლივ სისხლის სამართლის ქმედებაში მონაწილეობა.<sup>49</sup> „წაქეზება“ განმარტებული იყო, როგორც ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის მინიშნება დანაშაულის ჩასადენად, იმ განზრახვით რომ გამოეწვია დანაშაულის ჩადენა ან იმის გააზრებით, რომ დიდი იყო იმის ალბათობა რომ (მისი მინიშნების) სავარაუდო შედეგი დანაშაულის ჩადენა იქნებოდა. დანაშაულის „ჩადენა“, დამნაშავეობის ყველაზე გავრცელებული ფორმად ითვლება დანაშაულის ფიზიკურად ჩადენის შედეგი ან სისხლისსამართლებრივი დარღვევის მიმართ დანაშაულებრივი უმოქმედობა, იმის გააზრებით რომ დიდია იმის ალბათობა, რომ კონკრეტული ქცევის შედეგი დანაშაულის ჩადენა იქნება.

53. „ხელშეწყობა ან წახალისება“ გულისხმობს, რომ პირმა არსებითი წვლილი შეიტანა დანაშაულის ჩადენაში იცოდა, რა რომ ეს დაეხმარებოდა დანაშაულის ჩადენაში ან გააიოლებდა მის ჩადენას. წვლილი შეიძლება გამოიხატოს პრაქტიკულ დახმარებაში, წახალისებაში ან მორალურ მხარდაჭერაში და უნდა ახასიათებდეს არსებითი (თუმცა მიზეზობრივი არ არის აუცილებელი) ზემოქმედება დანაშაულის ჩადენაზე. ხელშეწყობა ან წახალისება შეიძლება გულისხმობდეს ქმედებას ან უმოქმედობას და შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის დროს ან ჩადენის შემდეგ, თუმცა არსებითი წვლილის პირობა ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული, განსაკუთრებით მაშინ როდესაც სახეზე გვაქვს უმოქმედობა. ამგვარად, დანაშაულის ადგილზე ყოფნა თავისთავად არ იძლევა წაქეზების ან წახალისების ვარაუდის გაკეთების საფუძველს, თუმცა ამას შეიძლება მოყვეს ასეთი პასუხისმგებლობა თუ დამტკიცდება, რომ ადგილზე ყოფნას ჰქონდა არსებითი ლეგიტიმური ან წამახალისებელი გავლენა მთავარ მოქმედ პირზე. ხშირად შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ადგილზე მყოფი პირი დანაშაულის ჩამდენის უფროსია (თუმცა ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას მეთაურის/უფროსის პასუხისმგებლობის დოქტრინის ფარგლებში, რომელზედაც საუბარი მოგვიანებით 56-ე პუნქტში იქნება).

54. დაბოლოს, სასამართლო პალატამ *Kvočka et al*-ის საქმეზე ჩათვალა, რომ პასუხისმგებლობა გამომდინარეობს ერობლივი სისხლის სამართლის ქმედებაში (ან საერთო მიზნით) მონაწილეობის მიღებიდან, მიუხედავად იმისა, ეს იყო დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა, ხელშეწყობა თუ წახალისება. ერთობლივი სისხლის სამართლის ქმედებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახეზეა რამდენიმე პირი, საერთო გეგმა და მონაწილეობს პირი, რომელიც აღასრულებს საერთო გეგმას. საერთო გეგმა არ არის აუცილებელი წინასწარ შეთანხმებული იყოს, ის შეიძლება იმპროვიზირებული იყოს, ხოლო მისი არსებობა იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ მისი რეალიზაციისათვის რამდენიმე პირი ერთად მოქმედებს. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მაშინ წარმოიშობა, როდესაც დაინტერესებულმა პირმა „განახორციელა ქმედებები, რომლებიც არსებითად დაეხმარა მიზნის განხორციელებაში ან არსებითი

<sup>49</sup> იხილეთ გადაწყვეტილების 122-ე პუნქტი და მომდევნო პუნქტები.

ზეგავლენა იქონია მასზე იმის გააზრებით, რომ მისმა ქმედებამ ან უმოქმედობამ ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას...“<sup>50</sup>

55. პირის წვლილი კრიმინალურ ორგანიზაციაში არსებითია თუ არა, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორც არის კრიმინალური ორგანიზაციის სიდიდე, რა სახის ფუნქციას ასრულებს, პირის პოზიცია ორგანიზაციაში ან ჯგუფში და (ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია) პირის როლი ჩადენილ დანაშაულთა<sup>51</sup> სიმძიმესთან და მასშტაბთან მიმართებაში.

56. ICC-ის სტატუტის 28-ე მუხლი ეხება განსაკუთრებულ საკითხს - მეთაურის/უფროსის პასუხისმგებლობას. ამ დებულებაში ნათქვამია, რომ სამხედრო მეთაური პასუხს აგებს იმ დანაშაულებებზე, რომელიც ჩადენილია იმ პირთა მიერ, რომლებიც მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებიან თუ იცოდა ან თუ უნდა სცოდნოდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი პირები ჩადიოდნენ ან უნდა ჩაიდინონ ამგვარი დანაშაული, მაგრამ მან არ გაატარა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა საჭირო და გამართლებული ღონისძიება, რათა თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა ასეთი ქმედება ან გადაეცა კომპეტენტური ორგანოებისათვის გამოსაძიებლად და სისხლისამართლებლივი პასუხისმგებლობის დასაყენებლად.<sup>52</sup> ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება მეთაურებს არასამხედრო ვითარებაში, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეთაურმა იცოდა ან შეგნებულად იგნორირებას უკეთებდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მსგავსი დანაშაულის ჩადენა ხდება ხოლმე ან მოხდება.

### **რეპრესიული რეჟიმის უფროსი თანამდებობის პირები**

57. ზემოთ მოხსენიებული პრინციპებიდან გამომდინარე მთავრობის უფროსი თანამდებობის პირების ლტოლვილის სტატუსიდან ავტომატურად გამორიცხვა

<sup>50</sup> გადაწყვეტილების 312-ე პუნქტი. შემდგომ სასამართლო პალატა აცხადებს:

*არ არის სავალდებულო, რომ დანაშაულში მონაწილემ იცოდეს ყველა ჩადენილი დანაშაულის შესახებ. უბრალოდ ცოდნა იმის თაობაზე, რომ სისტემის ფარგლებში ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენას და გააზრებული მონაწილეობა ამ სისტემაში ისე, რომ ეს არსებითად ხელს უწყობს ან ეხმარება დანაშაულის ჩადენას ან ეს ეხმარება კრიმინალურ ორგანიზაციას ეფექტურად და ეფექტიანად იფუნქციონიროს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ერთობლივი კრიმინალური ორგანიზაციის წამქეზებელს ან ხელშემწყობს ან თანამონაწილეს დანაშაულის ჩადენაში თავისი წვლილი შეაქვს იმ როლის შესრულებით, რომელიც საშუალებას აძლევს სისტემას ან ორგანიზაციას გააგრძელოს ფუნქციონირება.*

<sup>51</sup> ამგვარად, სასამართლო პალატამ მიუთითა, რომ ბულალტერს, რომელიც თავდაპირველად კომპანიაში ისე მუშაობს, რომ არ იცის რომ კომპანია ჩართულია ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელებაში, შეიძლება დაეკისროს კრიმინალურ ორგანიზაციაში მონაწილეობის პასუხისმგებლობა თუ ის მას შემდეგაც გააგრძელებს მუშაობს, როცა გაიგებს ორგანიზაციის ნამდვილი საქმიანობის შესახებ. მის მიერ მომავალში ფუნქციების შესრულება არსებით წვლილს შეიტანს კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობაში. მეორე მხრივ, თუ დამლაგებელი მას შემდეგ რაც შეიტყობს კომპანიის კრიმინალური საქმიანობის შესახებ კვლავ გააგრძელებს იქ მუშაობას, მას არ დაეკისრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ვინაიდან მისი ფუნქცია არ არის არსებითი კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობისათვის (პუნქტი 285-286).

<sup>52</sup> მეთაურის პასუხისმგებლობის საკითხის ანალიზი ICTY-ს წესდების შესაბამისად იხილეთ გადაწყვეტილება *Blaskic*-ის საქმესთან დაკავშირებით, No. IT-95-14-T, 2000 წლის 3 მარტი.

გაუმართლებელია. „ასოციაციით დანაშაული“ ასამართლებს პირს მისი რანგიდან გამომდინარე და არა მათი ფაქტობრივი ვალდებულებებისა და ქმედებების შესაბამისად. ამის მაგივრად, აუცილებელია, რომ თითოეული ოფიციალური პირის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურად დადგინდეს იმისათვის, რომ გაირკვეს იცოდა თუ არა განმცხადებელმა ჩადენილი ან დაგეგმილი ქმედებების შესახებ, შეეცადა თუ არა შეეჩერებინა ან წინ აღდგომოდა ქმედებებს და/ან შეგნებულად ჩამოსცილდა თუ არა თვითონ ამ პროცესს.<sup>53</sup> უფრო მეტიც, ასევე უნდა განხილული იქნეს თუ რამდენად ჰქონდა პირს მორალური არჩევანის საშუალება.<sup>54</sup> პირები, რომელთაც როგორც დადგინდა ჩაიდინეს კრიმინალური ქმედება, ჩაბმული იყვნენ მასში, მონაწილეობას იღებდნენ მის ორგანიზებაში და/ან ახორციელებდნენ ან ხელს უწყობდნენ მის განხორციელებას საკუთარი ქვემდგომი პირების საშუალებით, უნდა გამოირიცხონ ლტოლვილის სტატუსიდან.<sup>55</sup>

58. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შეიძლება წარმოიშვას ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომელსაც მტკიცებულების ტვირთი გადააქვს მეორე მხარეზე, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მაღალი თანამდებობის პირი აგრძელებდა მუშაობას ხელისუფლებაში (ან მის უწყებაში), და აშკარად ჩაბმული იყო ისეთ საქმიანობაში, რომელსაც მოიცავს IF მუხლი. ასეთი რამ მოხდება მაშინ თუ, მაგალითად, კონკრეტული მთავრობა საერთაშორისო კრიტიკას, გაკიცხვას იმსახურებს ადამიანის უფლებების სფეროში უხეში ან სისტემური დარღვევებისთვის (კერძოდ, გაეროს

<sup>53</sup> იხილეთ 56-ე პუნქტი, რომელიც შეეხება ხელმძღვანელის (უფროსის) პასუხისმგებლობას.

<sup>54</sup> იმის დასადგენად, იყო თუ არა აღნიშნული ქმედებები ნებაყოფილობითი ან ჰქონდა თუ არა პირს არჩევანის საშუალება, საჭიროა შემდეგი სახის შეკითხვების დასმა: იყო თუ არა ქმედებები ოფიციალური მთავრობის პოლიტიკის ნაწილი, რის შესახებაც ოფიციალური პირისათვის ცნობილი იყო? ჰქონდა თუ არა ოფიციალურ პირს იმის საშუალება რომ ასე თუ ისე ზემოქმედება მოეხდინა აღნიშნულ პოლიტიკაზე? რა საფრთხე ემუქრებოდა ოფიციალური პირის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს თუ ის უარს იტყოდა დანაშაულ(ებ)ის ჩადენაზე ან რაიმენაირად მასთან ასოცირებაზე? მოიმოქმედა თუ არა ოფიციალურმა პირმა რაიმე რათა საკუთარი თავის ამ პოლიტიკისაგან დისტანცირება მოეხდინა ან გადამდგარიყო საჯარო სამსახურიდან? საქმეები, რომელშიც აღნიშნული საკითხები განიხილებოდა იხილეთ 42-ე სქოლიოში.

<sup>55</sup> ICTY-ის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში საქმეში *Prosecutor v. Dr Milomir Stakic*, საქმე No. IT-97-24, 2003 წლის 31 ივლისი, სასამართლო პალატამ II დაადგინა, რომ ბრალდებულის მონაწილეობა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებებში და ომის კანონისა და წესების დარღვევაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოსნია-ჰერცეგოვინის პრიჯედორის მუნიციპალიტეტში, სადაც იმ დროს ბრალდებულს მუნიციპალიტეტში წამყვანი თანამდებობა ეკავა, დანაშაულის ჩადენის თანამონაწილეობის ტოლფასი იყო. სასამართლო პალატის გადაწყვეტილების რეზიუმეში ნათქვამია, რომ თანამონაწილეობისათვის „არსებითია დამტკიცდეს რომ არსებობდა შეთანხმება ან ჩუმი თანხმობა კოორდინირებული თანამშრომლობითა და ერთიანი კონტროლით კრიმინალურ ქმედებასთან დაკავშირებით საერთო მიზნის მისაღწევად. თანამონაწილეს უნდა ემოქმედა იმის ცოდნით, რომ არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოხდებოდა დანაშაულის ჩადენა და მას გააზრებული უნდა ჰქონოდა, რომ მისი როლი არსებითი იყო საერთო მიზნის მისაღწევად.“ სასამართლო პალატამ ასევე დაადგინა, რომ „საერთო მიზანი ვერ მიიღწეოდა საბოლოო მიზანზე ერთობლივი კონტროლის განხორციელების გარეშე და ეს ერთმანეთზე დამოკიდებულების ელემენტი ახასიათებს კრიმინალურ ქმედებას. ვერცერთი მონაწილე საერთო მიზანს დამოუკიდებლად ვერ მიაღწევდა. თუმცა თითოეულ მონაწილეს დამოუკიდებლად შეეძლო გეგმის ჩაშლა თუ უარს იტყოდა მასზე დაკისრებული როლის შესრულებაზე ან თუ განაცხადებდა დანაშაულის შესახებ“.

ადამიანის უფლებათა კომისიის ან გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მხრიდან). თუ ამგვარი კრიტიკის მიუხედავად პირი რჩება მაღალ საჯარო თანამდებობაზე, მისი ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა შეიძლება გამართლებული იყოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირს შეუძლია უარყოფს ცოდნა ან პირადი მონაწილეობა მსგავს დანაშაულებრივ ქმედებებში.

### **ძალადობრივი დანაშაულობების ჩამდენი ან სხვათა წამქეზებელი ორგანიზაციები<sup>56</sup>**

59. მსგავსად იმ შემთხვევისა, როდესაც პირი კონკრეტული ხელისუფლების წევრია, თავისთავად იმ ორგანიზაციის წევრობა, რომლის მიერაც ხდება დანაშაულის ჩადენა ან ჩადენაზე სხვების წაქეზება არ არის გადამწყვეტი ან საკმარისი ფაქტორი იმისათვის, რომ პირის ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა მოხდეს. ორგანიზაციის წევრობა, როგორც ასეთი, არ არის დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობის ტოლფასი, რომელიც იწვევს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვას. უნდა დადგინდეს იყო თუ არა პირი პირადად ჩაბმული ძალადობრივ ქმედებებში ან გააზრებულად შეჰქონდა თუ არა მას თავისი არსებითი წვლილი მსგავსი ქმედებების განხორციელებაში. დამაჯერებელი განმარტება იმისა, რომ განმცხადებელი არ მონაწილეობდა ან დისტანცირებული იყო იმ ქმედებებისაგან, რომელიც ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსზე უფლების ჩამორთმევას; იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტის მიერ ხდება ლოგიკური ახსნა-განმარტებების მოწოდება გამორიცხვად ქმედებაში მისი მონაწილეობის შესახებ, სადაც მისი ბრალი არ დასტურდება, და ამავდროულად თუ არ არსებობს ამის გამაბათილებელი სხვა სერიოზული მტკიცებულებები, პირის ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა აღარ უნდა განხორციელდეს.<sup>57</sup>

60. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჯგუფის, ქვე-ჯგუფისა თუ ორგანიზაციის მიზნები, საქმიანობა და მეთოდები განსაკუთრებით ძალადობრივი ხასიათისაა, მაგალითად, როდესაც ადგილი აქვს სამოქალაქო მოსახლეობის განურჩეველ ფიზიკურ განადგურებას ან მათ დაზიანებას, ან წამების აქტის ჩადენას. როდესაც ასეთი ჯგუფის წევრობა ნებაყოფილობითია, ეს წარმოშობს იმის ვარაუდს, რომ პირმა მეტ-ნაკლებად არსებითი წვლილი შეიტანა ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, მაშინაც კი თუ მხოლოდ ადგილი ჰქონდა ორგანიზაციისათვის არსებითი დახმარების გაწევას, რათა მას შეძლებოდა თავისი მიზნების<sup>58</sup> მისაღწევად ფუნქციონირება ეფექტურად

<sup>56</sup> ასევე იხილეთ თავი ტერორიზმის შესახებ, პუნქტები 79-84.

<sup>57</sup> მაგალითად, კანადის ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელმა, რომელიც იძულებით გაიწვიეს სალვადორის არმიაში, პირველი შესაძლებლობისთანავე მიატოვა ჯარი, როდესაც აღმოაჩინა, რომ არმიაში დაშვებული იყო წამება. სასამართლომ აღნიშნული არსებით ფაქტორად ჩათვალა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ განმცხადებელი არ იყო დამნაშავე სამხედრო დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებების ჩადენაში, რაც საკმარისი იქნებოდა ლტოლვილის სტატუსიდან გამოსარიცხად. *Moreno v. Canada (Minister of Employment and Immigration)*, გადაწყვეტილება A-746-91 (ფედერალური სააპელაციო სასამართლო, 1993 წლის 14 სექტემბერი).

<sup>58</sup> იხილეთ პუნქტი 50-55-ე, სადაც საუბარია ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე ერთობლივი კრიმინალური ორგანიზაციის კონტექსტის ჩათვლით ICTY-ს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Kvočka et al.* (ომარსკასა და კერატერმის ბანაკები), IT-98-30/1, 2001 წლის 2 ნოემბერი.

გაეგრძელებინა. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გადადის მეორე მხარეზე.<sup>59</sup> ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის წევრობამ შეიძლება წამოჭრას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, მაგალითად, როდესაც პირი აკონტროლებს ორგანიზაციის ფონდებს და მან იცის, რომ ის მიმართულია ძალადობრივი დანაშაულებების საშუალებით მიზნების მიღწევისაკენ.<sup>60</sup>

61. დიდი სიფრთხილეს საჭირო, როდესაც პასუხისმგებლობის ასეთი ვარაუდები წარმოიშობა. აუცილებელია, რომ მოხდეს ჯგუფის ფაქტობრივი საქმიანობის, მისი ადგილმდებარეობისა და საზოგადოებაში მისი როლის შესწავლა,<sup>61</sup> მისი ორგანიზაციული სტრუქტურის, პირის პოზიციის და იმის შესწავლა, რამდენად აქვს მას უნარი სერიოზული ზემოქმედება იქონიოს ორგანიზაციის საქმიანობაზე. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ორგანიზაციას ახასიათებს დანაწევრება (ფრაგმენტაცია). ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტულ ჯგუფს არ ძალუძს გააკონტროლოს საბრძოლო განაყოფების მიერ ძალადობრივი ქმედებების ჩადენა. ჯგუფის სახელით შეიძლება ასევე ჩადენილი იქნეს არასანქცირებული აქტები. უფრო მეტიც, ორგანიზაციის საქმიანობის ძალადობრივი ხასიათი შეიძლება შეცვლილიყო, ამიტომ კონკრეტული პირის ამ ორგანიზაციაში წევრობა შესწავლილი უნდა იქნეს შესაბამის დროს ორგანიზაციის საქმიანობის კონტექსტში. დაბოლოს, გამორიცხვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისეთი საკითხები, როგორც არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები, მაგალითად იძულება.

62. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პირი დაკავშირებულია ორგანიზაციასთან, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის (ან ცალკეული სახელმწიფოს) მიერ შეყვანილია ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში, არ ნიშნავს რომ პირის სტატუსიდან ავტომატური გამორიცხვა გამართლებულია.<sup>62</sup> ამ დროს მხოლოდ წარმოიშვება იმის საფუძველი, რომ გამორიცხვის საფუძვლების გამოკვლევა მოხდეს. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ სიას საიმედო საფუძველი

<sup>59</sup> იხილეთ პუნქტები 105-106 ქვემოთ.

<sup>60</sup> იხილეთ მაგალითად, კანადური საქმე *Ramirez v. Canada (Minister of Employment and Immigration)*, [1992] 2 FC 317 (CA): „უბრალოდ იმ ორგანიზაციის წევრობა, რომელიც დროდადრო ჩადის საერთაშორისო დონის დანაშაულს, როგორც წესი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირის ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა მოხდეს... [ა]რავის შეუძლია ჩაიდინოს საერთაშორისო დონის დანაშაული, ისე რომ მან არ იცოდეს ამის შესახებ და არ მონაწილეობდეს მასში“. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ „როდესაც ორგანიზაცია ძირითადად შეზღუდულ და ძალადობრივ მიზანს ისახავს, როგორც არის მაგალითად საიდუმლო პოლიციის საქმიანობა, უბრალო წევრობა შეიძლება გარდუვალად დაკავშირებული იყოს დევნის აქტებში პირის პირად გააზრებულ მონაწილეობასთან“.

<sup>61</sup> იხილეთ *Gurung v. Secretary of state for the Home Department*, გაერთიანებული სამეფოს საიმიგრაციო სააპელაციო ტრიბუნალი, აპელაცია № [2002]UKIAT04870 HX4452-2001, 2002 წლის 15 ოქტომბერი, დასკვნათა რეზიუმე, მე-3 პუნქტი, სადაც ასევე ნათქვამია: „რაც უფრო მეტ ტერორისტულ აქტს სჩადის ორგანიზაცია საკუთარი ხელწერით, მით უფრო რთული იქნება განმცხადებლისათვის იმის დამტკიცება, რომ მისი ორგანიზაციაში წევრობა არ არის მისი მონაწილეობის ტოლფასი.“

<sup>62</sup> ტერორიზმში ეჭვმიტანილთა ან ორგანიზაციათა სიების გავლენა განხილულია ქვემოთ მე-80, 106 და 109-ე პუნქტებში.

აქვს, და თუ კონკრეტული ორგანიზაციის ან პირის სიაში შეყვანის კრიტერიუმები ისეთია, რომ ორგანიზაციის ყველა წევრი ან სიაში შეყვანილი პირი/პირები შეიძლება საფუძვლიანად ჩაითვალოს, რომ ძალადობრივ ქმედებებში იღებდნენ მონაწილეობას.<sup>63</sup>

#### ყოფილი მებრძოლები<sup>64</sup>

63. სამხედრო ქვედანაყოფის ყოფილი მოსამსახურე არ არის აუცილებელი გამორიცხვას დაექვემდებაროს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევას. გარდა ამისა, თუ ამ კატეგორიის პირები თავიდან განაცალკევებს სხვა ლტოლვილებისაგან მათი მასიური შემოსვლის (*mass influx*) დროს, ეს ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან საფუძვლად მათი ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვისთვის.<sup>65</sup> თუ ყოფილი მებრძოლები ჩაბმული იყვნენ კონფლიქტში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევა, შესწავლილ უნდა იქნეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. ამ დროს ისეთივე საკითხები წამოიჭრება, როგორც იყო ზემოთ განხილული ორგანიზაციის იმ წევრებთან დაკავშირებით, რომელთაც ჩაიდინეს ძალადობრივი დანაშაული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში გამორიცხვის საკითხის განხილვის საჭიროება შეიძლება საერთოდ არ იდგეს დღის წესრიგში, ვინაიდან ყოფილ მებრძოლს შეიძლება არ ჰქონდეს დევნის საფუძვლიანი შიში.

#### ინდივიდუალური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები

##### განზრახვის ელემენტის (*mens rea*) არ არსებობა

64. როგორც ICC-ის სტატუტის 30-ე მუხლშია ნათქვამი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც წესი, წარმოიშობა მაშინ როდესაც კონკრეტულ პირს კანონდარღვევის მატერიალური ელემენტები ჩადენილი აქვს შეგნებულად და განზრახ. განზრახვის (*mens rea*) ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, დანაშაულის უმთავრესი ელემენტი არ არსებობს და შესაბამისად ვერ დადგება პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. პირის განზრახ მოქმედებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში,

<sup>63</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციათა კომიტეტი, რომელიც დაარსდა უშიშროების საბჭოს 1267 (1999 წლის) რეზოლუციის თანახმად 1999 წელს, რომელმაც ამოქმედა სანქციები თალიბანის ქვეშე მყოფ ავღანეთში, 2000 წლიდან უშიშროების საბჭოს 1333 (2000 წლის) რეზოლუციის თანახმად უფლებამოსილია შექმნას და აწარმოოს იმ პირთა და წარმონაქმნთა სია, რომლებიც ალ-ქაიდასთან და თალიბანთან არიან დაკავშირებული. მოქმედი სანქციები, რომლის მონიტორინგის უფლება დაკისრებული აქვს კომიტეტს, მოითხოვს რომ ყველა სახელმწიფომ სიაში შეტანილ პირთა და წარმონაქმნებთან დაკავშირებით მოიმოქმედოს შემდეგი: გაყინოს აქტივები, არ დაუშვას საკუთარ ტერიტორიაზე შესვლა ან ტრანზიტი და აღკვეთოს იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვა, მიწოდება და გადაცემა. გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტულ კომიტეტს, რომელიც შეიქმნა გაეროს უშიშროების კომიტეტის რეზოლუციის 1373 (2001წ) თანახმად, არ გააჩნია ტერორისტულ ორგანიზაციათა ან პირთა სიები.

<sup>64</sup> წინამდებარე განმარტებითი ბარათის მიზენისათვის „ყოფილი მებრძოლი“ ნიშნავს პირს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა არასაერთაშორისო ან საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში.

<sup>65</sup> იხილეთ აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა N 94 (LIII) c პუნქტი viii ქვეპუნქტი და პუნქტები 96-97 ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვასთან დაკავშირებით მასობრივი შესვლის (*mass influx*) სიტუაციებში.



თუ ქვევასთან დაკავშირებით მას სურს მოიქცეს ამგვარად, ან შედეგთან დაკავშირებით თუ მას სურს გამოიწვიოს აღნიშნული შედეგი ან თუ იცის, რომ ეს შედეგი დადგება მოვლენათა ჩვეულებრივად განვითარების შედეგად. ცოდნას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირისათვის ცნობილია გარემოებების არსებობის შესახებ ან იმის შესახებ, რომ მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების შემთხვევაში დადგება გარკვეული შედეგი. ასე მაგალითად, პირი, რომელსაც განზრახული ჰქონდა მკვლელობის აქტის ჩადენა არ შეიძლება პასუხისმგებლად ჩაითვალოს დანაშაულისათვის კაცობრიობის წინააღმდეგ, თუ მისთვის ცნობილი არ იყო, რომ სამოქალაქო მოსახლეობაზე ხდებოდა ფართომასშტაბიანი და სისტემური თავდასხმა. ამგვარი ცოდნა კი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში აუცილებელი კომპონენტია. ასეთ დროს უფრო გამართლებული შეიძლება იყოს 1F(ბ) მუხლის გამოყენება.

65. რიგ გარემოებათა დროს, პირს ნამდვილად ვერ დაეკისრება დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა მისი გონებრივი მდგომარეობის გამო: მაგალითად, ფსიქიკური აშლილობის ან გონებრივი ჩამორჩენილობის, არანებაყოფილობითი ინტოქსიკაციის ან ბავშვების შემთხვევაში მათი უმწიფრობის/არასრულწლოვანების გამო.<sup>66</sup>

### **დაცვა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან**

66. გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით რეალური დაცვის შესაძლებლობა, რაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშია მოცემული.

#### *i) უფროსის ბრძანება*

67. თავის გასამართლებლად გავრცელებულია იმის თქმა, რომ ეს იყო „უფროსის ბრძანება“ ან რომ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოებიდან მოდიოდა იძულება, თუმცა არსებობს სამართლებრივი პრინციპი, რომლის მიხედვით უფროსის ბრძანება არ ათავისუფლებს ქვემდგომს დანაშაულისაგან. ნიურბერგის პრინციპების თანახმად: „ის ფაქტი, რომ ვინმე მოქმედებდა თავისი მთავრობის ან უფროსის ბრძანებით და ჩაიდინა დანაშაული, რომელიც მიმართული იყო მშვიდობის წინააღმდეგ არ ათავისუფლებს პირს საერთაშორისო სამართლით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, მით უმეტეს თუ მას ჰქონდა მორალური არჩევანის გაკეთების საშუალება.“<sup>67</sup>

68. ICTY-ის წესდების მე-7(4) მუხლში ნათქვამია, რომ „ის ფაქტი, რომ ბრალდებული მოქმედებდა თავისი მთავრობის ან უფროსის ბრძანებით არ ათავისუფლებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან“. ICC-ის სტატუტის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ თავის გასამართლებლად უფროსის ბრძანებაზე მინიშნება მხოლოდ იმ

<sup>66</sup> იხილეთ ასევე პუნქტი 91-ე ქვემოთ (არასრულწლოვანების შესახებ).

<sup>67</sup> მე-4 პრინციპი, ნიურბერგის პრინციპები.

შემთხვევაში იმუშავებს, თუ ეს პირი სამართლებრივად ვალდებული იყო დამორჩილებოდა ამ ბრძანებას, მისთვის უცნობი იყო, რომ ბრძანება უკანონო იყო, ხოლო თვითონ ბრძანება აშკარად უკანონო ხასიათს არ ატარებდა (ნებისმიერი ბრძანება გენოციდის ან კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაზე აშკარად უკანონოდ ითვლება).

*(ii) იძულება*

69. მეორე მსოფლიო ომში მონაწილე პირების წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესის დროს დანაშაულებრივი ქმედების იძულების წესით ჩადენას ხშირად ხსნიდნენ და უკავშირებდნენ მაღალი ინსტანციიდან/ზემდგომი პირიდან მიღებულ ბრძანებებს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 31 (დ) მუხლის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების იძულების წესით ჩადენაზე მითითება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხილვის ქვეშ არსებული მამხილებელი ქმედება:

*ჩადენილია და არის ამ ადამიანის ან სხვა ადამიანის მიმართ განხორციელებული გარდაუვალი სიკვდილის მუქარის ან ხანგრძლივი და გარდაუვალი ფიზიკური დაზიანებების შედეგი და ეს ადამიანი მოქმედებს გონივრულობის ფარგლებში და აუცილებლობიდან გამომდინარე, რათა თავიდან აიცილოს მუქარა იმ პირობით, რომ ამ ადამიანის მიერ მიყენებული ზიანი არ იქნება იმაზე მეტი, ვიდრე იგი ცდილობს, რომ აიცილოს თავიდან.*

სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ მივუთითოთ და გამოვიყენოთ ქმედების იძულების წესით ჩადენა, აუცილებელია, რომ არსებოდეს და დაკმაყოფილდეს მკაცრად განსაზღვრული სავალდებულო პირობები.

70. როდესაც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარდაუვალ აუცილებლობაზე მიუთითებს ადამიანი, რომელიც მოქმედებდა ორგანიზაციაში მომუშავე სხვა ადამიანების ბრძანებით, უნდა ვიფიქროთ და მოვიძიოთ ისიც, შეეძლო თუ არა ამ ადამიანს მოქცეულიყო გონივრულად და უბრალოდ დაეტოვებინა ეს ორგანიზაცია და მართლაც ხომ არ უნდა მოქცეულიყო იგი ასე, თუ ცნობილი იყო, რომ საქმე ასეთ ხასიათს მიიღებდა. ყოველი ცალკეული საქმის განხილვა უნდა მოხდეს ამ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებზე დაყრდნობით. გასათვალისწინებელია და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ორგანიზაციიდან წასვლას/დებურტირობას და როგორი იყო ზეწოლა გარკვეული ქმედებების ჩადენასთან მიმართებით.

*(iii) თავდაცვა; სხვა ადამიანების ან ქონების დაცვა*

71. საკუთარი თავის დაცვის მიზნით, აუცილებელი და გონივრული ძალის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ წარმოშობს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მსგავსად ზემოაღნიშნულისა, გონივრულმა და თანაზომიერმა ქმედებამ სხვა ადამიანის, ან ომის დანაშაულის შემთხვევაში, იმ ქონების დაცვისათვის, რომელიც აუცილებელია ამ ადამიანის ან სხვა ადამიანების დასაცავად ან სამხედრო მისიის შესასრულებლად და თუ ასეთი ქმედება გამოიყენება ძალის გარდაუვალი და უკანონოდ გამოყენების

წინააღმდეგ, შესაძლოა, ასევე, გარკვეული გარემოებების შემთხვევაში, გამოყენებული იქნეს, როგორც მტკიცებულება ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით (იხილეთ, მაგალითად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 31 (გ) მუხლი).

### დანაშაულის გამოსყიდვა

72. გამორიცხვის დებულებები არაფერს ამბობს დანაშაულის გამოსყიდვის შესახებ, მიუხედავად იმისა დანაშაულის გამოსყიდვა განხორციელდა მისჯილი სასჯელის მოხდით, ამნისტიისა თუ შეწყალების, ხანდაზმულობის ვადის გასვლისა თუ სახვა სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად. სახელმძღვანელოს 157 პუნქტში ნათქვამია, რომ:

... სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის შეფასებისას საჭიროა ყველა ხელთ არსებული ფაქტორის, მათ შორის, შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება. ასევე აუცილებელია დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღება, როგორც არის ნასამართლეობა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის, თუ მძიმე არაპოლიტიკურ დანაშაულში მსჯავრდებულმა თავშესაფრის მაძიებელმა უკვე მოიხადა სასჯელი ან შეიწყალეს, ან მას შეეხო ამნისტია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ შესაბამის პირობებში აღარ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის დებულების მოქმედება, თუ არ დასტურდება, რომ შეწყალების ან ამნისტიის მიუხედავად, თავშესაფრის მაძიებელში მაინც დომინირებს კრიმინალური ხასიათი

73 1F მუხლის საგნისა და მიზნის გათვალისწინებით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სწორია ის მიდგომა, რომ ადამიანზე, რომელმაც მოიხადა სასჯელი, ზოგადად აღარ უნდა გავრცელდეს გამორიცხვა, რადგან იგი არ გაქცევია და არ ემალება სამართალს. ამიტომ, თითოეული საქმე მოითხოვს ინდივიდუალურ განხილვას, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა: რამდენი დროა გასული დანაშაულის ჩადენიდან, მისი სიმძიმე, ასაკი, როცა დანაშაული იქნა ჩადენილი, ადამიანის ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ პერიოდში და გამოხატავს თუ არა ადამიანი სინანულს მომხდარის გამო და თავი დაანება თუ არა კრიმინალურ საქმიანობას.<sup>68</sup> ნამდვილად სასტიკი დანაშაულის შემთხვევაში, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ადამიანები არ იმსახურებენ დაცვას საერთაშორისო ლტოლვილის სტატუსით და გამოყენებული უნდა იქნას გამორიცხვის დებულებები. ასეთ ქმედებებს, უფრო მეტად განეკუთვნება ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც განსაზღვრულია მუხლით 1F (ა) და (გ), ვიდრე 1F(ბ).

74. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, თავისთავად ეს საკითხი არ წარმოადგენს გონივრულ საფუძველს იმისათვის, რომ არ იქნას გამოყენებული განაცხადზე უარის თქმის მუხლები, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომლებსაც, საერთო აღიარებით, არ გააჩნიათ ხანდაზმულობის ვადა. თუმცა,

<sup>68</sup> იხილეთ, მაგალითად, საქმე O.M., Swiss Asylum Appeals Commission, 1999 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აუცილებელია ცალკეული საქმეების ინდივიდუალურად განხილვის მიდგომა, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს დანაშაულის ჩადენიდან გასული ფაქტიური პერიოდი, დანაშაულის სიმძიმე და ის, გამოხატა თუ არა ადამიანმა სინანული ჩადენილი დანაშაულის გამო და თავი დააანება თუ არა კრიმინალურ საქმიანობას.

75. შეწყალებისა და ამნისტიის შედეგები, ასევე, წარმოშობს მძიმე პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რეგიონში ნამდვილად შეიმჩნევა დაუსჯელობის სინდრომისაგან გათავისუფლების ტენდენცია მათ მიმართ, ვისაც ჩადენილი აქვს დანაშაული ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის კუთხით, ეს ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გახდა ფართოდ მიღებული და გამოყენებული პრაქტიკა. როდესაც ვითვალისწინებთ ამის გავლენას მუხლზე 1F, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, იყო თუ არა კონკრეტული ამნისტია და შეწყალება შესაბამისი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ნების გამოვლენა და ისიც, დაეკისრა თუ არა ამ კონკრეტულ ადამიანს პასუხისმგებლობა სხვა რაიმე ფორმით (მაგალითად, სიმართლისა და შერიგების კომისიის მეშვეობით). ზოგ შემთხვევაში, დანაშაული შესაძლოა იყოს იმდენად მძიმე, რომ 1F მუხლის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, მიუხედავად შემდგარი შეწყალების ან ამნისტიისა.

### ვ. მოსაზრებები პროპორციულობის შესახებ

76. პროპორციულობის პრინციპისა და ინდიკატორების გათვალისწინება, როდესაც განვიხილავთ გამორიცხვას და მის შედეგებს, წარმოადგენს მეტად სასარგებლო ანალიტიკურ მექანიზმს, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საფუძველს გამოყენებულია 1951 წლის კონვენციის უმნიშვნელოვანესი ჰუმანიტარული მოსაზრებისა და მიზნის შესაბამისად.<sup>69</sup> თუმცა, სახელმწიფოთა ქმედებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის ერთგვაროვანი და ზოგ სახელმწიფოში სასამართლო უარს ამბობს ასეთ მიდგომაზე, როგორც წესი იმის გამო, რომ თვლიან რომ, ადამიანის უფლებების დაცვის სხვა მექანიზმები იქნება გამოყენებული ამ ადამიანის მიმართ.<sup>70</sup> თუმცა, სახელმწიფოების მეორე ნაწილი განიხილავს პროპორციულობის პრინციპებს.<sup>71</sup>

<sup>69</sup> იმავე საფუძველით, თანამედროვე ხელშეკრულებები ექსტრადიციის შესახებ შეიცავს დებულებას პირის გადაცემის აკრძალვის შესახებ ისეთ ქვეყანაში სადაც ის გახდება დევნის მსხვერპლი.

<sup>70</sup> მსგავსი მექანიზმები განხილულია 22-ე პუნქტში, დანართი A.

<sup>71</sup> მაგალითად, ბელგიის ლტოლვილთა კომისიამ ბალანსის ტესტი გამოიყენა რათა განეხილა დევნის საფრთხე ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში ეთიოპიელი თავშესაფრის მაძიებლების შემთხვევაში (გადაწყვეტილება W4403 9 მარტი 1998 და W4589 23 აპრილი 1998). პროპორციულობის შეფასების საკითხი წამოიჭრა შვეიცარიულ საქმეებში, მაგალითად 1993 წლის გადაწყვეტილება No. 8, შვეიცარიის სასამართლომ განაცხადა: იმისათვის რომ დადგინდეს სერიოზული დანაშაული კონვენციის 1F(ბ) მუხლის შესაბამისად, საჭიროა ყველა საკითხი იქნას განხილული, დანაშაულის ჩამდენის ინტერესი დაცული იყოს სერიოზული დევნისგან თავის წარმოშობის ქვეყანაში (არაოფიციალური თარგმანი. ორიგინალი ტექსტი იკითხება ამგვარად: Pour qualifier une action de crime particulièrement grave au sens de l'art. 1 F, let. b de la Convention, il faut que, tout bien pesé, l'intérêt de l'auteur à être protégé de graves menaces de persécutions dans

77. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საკითხების უმაღლესი კომისარიატის მოსაზრებით, პროპორციულობის პრინციპი მნიშვნელოვანი დაცვის მექანიზმია 1F მუხლის ამოქმედების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ პროპორციულობის პრინციპი კონკრეტულად არ არის გამოხატული 1951 წლის კონვენციაში ან მის მოსამზადებელ მასალებში, იგი პირველად გამოჩნდა კონკრეტულად, 1 F (ბ) მუხლთან დაკავშირებით, რადგან იგი შეიცავს მხარეთა ინტერესების დამაბალანსებელ კრიტერიუმებს ისეთი სპეციფიკური ტერმინების განსაზღვრისათვის, როგორებიცაა “სერიოზულად მძიმე” და “არაპოლიტიკური”.<sup>72</sup> უფრო ზოგადად, ეს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის<sup>73</sup> და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის<sup>74</sup> ფუნდამენტურ პრინციპს. ეს პრინციპი საერთაშორისო სამართლის ბევრ ასპექტშია გამოყენებული.<sup>75</sup> ისევე, როგორც ადამიანის უფლებების გარანტიის ნებისმიერი გამონაკლისის შემთხვევა, თავშესაფრის მაძიებლის სტატუსიდან გამორიცხვა გამოყენებული უნდა იყოს მიზნის პროპორციულად. განსაკუთრებით

---

son pays. In the case of E.K., 2001 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება 2001, EMARK 2002/9, შეეხებოდა PKK-ს ორ ყოფილ ქურთ სეპარატისტ თურქეთიდან, შვეიცარიის თავშესაფრის კომისიამ მხედველობაში მიიღო პროპორციულობის მოსაზრებები, როგორც არის დანაშაულის ჩადენის შემდეგ პერიოდი, ახალგაზრდა ასაკი დანაშაულის ჩადენისას და თავშესაფრის მაძიებლის მიერ ორგანიზაციის დატობა. d'origine apparaisse moindre en comparaison du caractère répréhensible du crime que celui-ci a commis ainsi que sa culpabilité.)

<sup>72</sup> გთხოვთ იხილოთ სქოლიო 29

<sup>73</sup> ეს ასახულია მაგალითად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. პროპორციულობის პრინციპი არა რის ნახსენები 1950 წლის კონვენციის ტექტში, მაგრამ ის ჩამოყალიბდა როგორც ერთ ერთი მთავარი კონცეფცია სასამართლო გადაწყვეტილებებში, განსაკუთრებით იმის შესაფასებლად გარკვეულ უფლებებში ჩარება შესაძლებელია თუ არა გამართლებულ იქნას გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში. მაგალითად, საქმეში Silver v. United Kingdom (1983), სასამართლომ, გარკვეული პრინციპების შეფასებისას, იყო თუ არა უფლებებში ჩარევა „საჭირო დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ მათ შორის იმ მოთხოვნით, რომ ჩარევა უნდა იყოს პროპორციული და ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს (პარაგრაფი 97). ამ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა აპლიკანტის მიმართ მე-8 მუხლის დარღვევა, რომლებიც იყვნენ მისჯილი პატიმრები, საქმე შეეხებოდა კორესპონდენციის დაცვას. პროპორციულობის შეფასება გამოიყენება იმისათვის, რომ დაბალანსდეს საზოგადოებრივი ინტერესი და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებაში. ეს საკითხები ასევე წარმოიშობა 1966 წლის პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კონტექსტში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გადაწყვეტილებაშ Guerrero v. Colombia (CCPR/C/15/D/45/1979, 31 მარტი 1982) დაადგინა 6(1) მუხლის დადგენა (სიცოცხლის უფლება) იმის საფუძველზე, რომ პოლიციის მიერ ძალის გამოყენება იყო არაპროპორციული, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა (პარაგრაფი 13.3).

<sup>74</sup> მაგალითად, მუხლი 51(5)(b) ქენევის კონვენციის დამატებითი I პროტოკოლის კრძალავს განურჩეველ თავდასხმას, რომელშიც იგულისხმება ისეთი თავდასხმები „ რომელიც სავარაუდოდ გამოიწვევს სამოქალაქო მოსახლეობის სიკვდილს, სამოქალაქო მოსახლეობის სხეულის დაზიანებას, სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას, ან ყოველივე ზემოხსენებულის კომბინაცია და არის არაპროპორციული იმ მიზნისთვის რომლის მიღწევასაც ემსახურება ”.

<sup>75</sup> საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლო (ICJ) თავის გადაწყვეტილებაში *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States)*, ICJ ანგარიში, 1986, გვ. 14, დაადგინა, რომ თავდაცვის უფლება, როგორც გამონაკლისი ძალის გამოყენების, წარმოდგენილი გაეროს ქარტიაში, უნდა იქნას გამოყენებული პროპორციულად. სასამართლომ დაადასტურა, რომ პროპორციულობის მოთხოვნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია, *Advisory Opinion on the Legality of Use of Nuclear Weapons* (1996).

გასათვალისწინებელია, რომ სტატუსიდან პირის გამორიცხვა ხდება სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის გარეშე,<sup>76</sup> და რომ ადამიანის უფლებების გარანტიები ზოგ ქვეყანაში შესაძლოა არ წარმოადგენდეს ხელმისაწვდომ და მოქმედ “უსაფრთხოების მექანიზმს”.

78. ამგვარად, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება პირის სტატუსიდან გამორიცხვის შესახებ, აუცილებლად უნდა აიწონოს იმ დანაშაულის სიმძიმე, რომელზეც კონკრეტული პირია პასუხისმგებელია და ის შესაძლო შედეგები, რომლებიც დადგება იმ შემთხვევაში, თუ მას ეთქმება უარი თავშესაფარზე. აქვე გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ადამიანის მიმართ შესაძლო დევნის განხორციელების ხარისხი. თუ განმცხადებელი დგას სერიოზული დევნის საშიშროების წინაშე, იმისათვის რომ ის სტატუსიდან გამოირიცხოს, ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს ძალიან მძიმე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროპორციულობის ანალიზი, ჩვეულებრივ, არ მოითხოვება ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, როგორებიცაა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, დანაშაული კაცობრიობის წინაშე და ქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, რადგან ზემოაღნიშნული დანაშაულები იმდენად მძიმე და საერიოზული დანაშაულებია, რომ ისინი ყოველთვის გადაწონის შესაძლო დევნის საფრთხეს. განსხვავებით ჩამოთვლილი დანაშაულებისგან, ომის დანაშაული და არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული მოიცავს ქცევის მრავალ კატეგორიას. იმ ქმედებებისათვის, რომლებიც უფრო დაბლა დგას ამ შკალაზე, მაგალითად, ჯარისკაცების მიერ ძარცვის ცალკეული შემთხვევები, ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვისთვის შესაძლოა ჩაითვალოს არაპროპორციულად, თუ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შედეგად შესაძლოა განხორციელდეს პირის წამება. თუმცა, იმ შემთხვევებში, თუ პირებმა მიზანმიმართულად ჩაიდინეს მკვლელობა ან სერიოზული დაზიანებები მიაყენეს სამოქალაქო პირებს მთავრობის ან მოქალაქეების დაშინების მიზნით, ასეთი პირები ვერ ისარგებლებენ პროპორციულობის პრინციპით.

## **ზ. 1 F მუხლის გამოყენება კონკრეტულ ქმედებებთან მიმართებაში**

### **ტერორიზმი<sup>77</sup>**

79. ჯერ-ჯერობით არ არსებობს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტერორიზმის დეფინიცია. საერთაშორისო სამართლის კომისიის საბოლოო ანგარიში მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კოდექსის პროექტის შესახებ არ შეიცავს “ტერორიზმს”, როგორც დანაშაულს. ამ საკითხს არც საერთაშორისო სისხლის სამართლის და უშიშროების საბჭოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები ეხება, რომლებიც მიღებული იქნა აშშ-ზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმის შემდეგ და ეხება ტერორიზმის დამარცხებისაკენ მიმართულ ქმედებებს.

<sup>76</sup> იხილეთ პარაგრაფი 107 მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით.

<sup>77</sup> ტერორიზმთან და ლტოლვილთა დაცვასთან დაკავშირებული უახლესი დისკუსიის შესახებ იხილეთ UNHCR-ის დოკუმენტი, “Addressing Security Concerns without Undermining Refugee Protection”, ნოემბერი 2001.

მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოვლისმომცველ კონვენციაზე საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ.<sup>78</sup> რეგიონულ დონეზე კი, ევროკავშირის 2001 წლის დეკემბრის საერთო პოზიცია ტერორიზმთან ბრძოლაში კონკრეტული ღონისძიებების გამოყენების შესახებ, ცდილობს დაადგინოს ტერორისტული აქტების ზოგადი განსაზღვრება. ვინაიდან არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განმარტება ტერორიზმის შესახებ, ყურადღება გამახვილებულია იმ კონკრეტული ქმედებების აკრძალვაზე, რომლებიც დაგმობილია მთელი საერთაშორისო საზოგადოების მიერ, მიუხედავად ამ ქმედებების მიღმა არსებული მიზეზებისა და მოტივებისა.<sup>79</sup> დღეისათვის არსებობს დაახლოებით ოცამდე გლობალური თუ რეგიონული შეთანხმება, რომლებიც ეხება საერთაშორისო ტერორიზმს, თუმცა ყველა მათგანი არ არის ძალაში შესული.<sup>80</sup>

80. ბევრ შემთხვევაში, ლტოლვილის სტატუსის განაცხადზე უარის თქმის დებულებების გათვალისწინება არ იქნება აუცილებელი ტერორიზმში ექვიტანტული პირების მიმართ, რადგან გამომდინარე 1951 წლის კონვენციიდან ისინი დგებიან

---

<sup>78</sup> ასევე იხილეთ, Report of the UN Working Group on Measures to Eliminate Terrorism, 29 October 2001 (A/C.6/56/L.9); Policy Working Group on the United Nations and Terrorism, Report, 6 August 2002 (A/57/273 S/2002/875).

<sup>79</sup> “ტერორისტული აქტი” განისაზღვრა 1(3) მუხლში, საბჭოს ერთიანი პოზიცია 27 დეკემბერი 2001 (2001/931/CFSP):

ერთ ერთი შემდგომი საერთაშორისო აქტი, რომელიც მისი ბუნების ან კონტექსტის გათვალისწინებით სერიოზულად აზიანებს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას, განისაზღვრება როგორც დანაშაული ადგილობრივი კანონმდებლობის და ჩადენილია შემდეგი მიზნით:

- (i) მოსახლეობის დაშინების, ან
- (ii) საერთაშორისო ორგანიზაციამ ან სახელმწიფომ შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება, ან
- (iii) საერთაშორისო ორგანიზაციის ან სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კონსტიტუციური სტრუქტურის სერიოზული დაზიანება:
  - (a) ადამიანის სიცოცხლეზე თავდასხმა და მოკვლა;
  - (b) თავდასხმები ფიზიკური მთლიანობის დასარღვევად;
  - (c) გატაცება ან მძევლად აყვანა;
  - (d) სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებების ნგრევა, სატრანსპორტო სისტემის, ინფრასტრუქტურის დაზიანება რომელიც რეალურად გამოიცვევს ადამიანის სიცოცხლისთვის ზიანის მიყენებას და ეკონომიკურ ზარალს;
  - (e) თვითმფრინავის, გემის და სხვა საზოგადოებრივი და საქონლის სატრანსპორტო საშუალების ხელში ჩაგდება;
  - (f) წარმოება, შენახვა, შექმნა, ტრანსპორტის, ან იარაღის, ასაფეთქებელი ან ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი, ისევე როგორც კვლევის და განვითარების, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის;
  - (g) საშიში ნივთიერებების გამოშვება, აფეთქებები რაც ადამიანის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს;
  - (h) წყლის მიწოდებაში ხელის შეშლა ან მიწოდების შეწყვეტა, ან სხვა აუცილებელი ბუნებრივი რესურსების მიწოდების შეფერხება რაც ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია;
  - (i) მუქარა იმისა რომ ჩაიდენს (a) და (h) პუნქტებში მოცემულ ქმედებას;
  - (j) ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელობა;
  - (k) ტერორისტული ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობა, მათ შორის ისეთ ქმედებებში მონაწილეობა რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ან მატერიალური რესურსების მიწოდებას, ან ქმედებების დაფინანსებას რაც ხელს უწყობს კრიმინალური ქმედებების ჩადენას.”

<sup>80</sup> იხილეთ დანართი „დ“ და გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ, (A/56/160), 3 ივლისი 2001.

კანონიერი სასამართლო გამოძიების წინაშე წარდგენის და არა დევნის საშიშორების წინაშე ჩადენილი სისხლის სამართლის იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია 1951 წლის კონვენციით.<sup>81</sup> თუ ადამიანს ჩადენილი აქვს ტერორისტული ქმედება, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო დოკუმენტებით, რომლებზეც საუბარია დანართ “დ”-ში და დგას მისი დევნის საკითხი და რისკი, ასეთ პიროვნებას შესაძლოა არ მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი.<sup>82</sup> ასეთ შემთხვევებში, 1 F მუხლის გამოყენებით სტატუსიდან გამორიცხვის საფუძველი დამოკიდებული იქნება ჩადენილ ქმედებაზე და მის გარშემო არსებულ გარემოებებზე. თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე უნდა გაირკვეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, რაც ნიშნავს, რომ თავად ამ პიროვნებას უნდა ჰქონდეს ჩადენილი ტერორისტული აქტი ან შეგნებულად უნდა ჰქონდეს წვლილი შეტანილი ასეთი ტერორისტული აქტის განხორციელებაში. ეს ასე უნდა იყოს მაშინაც კი, როცა ორგანიზაციის, რომელსაც ეხება საქმე, წევრობა არაკანონიერია ლტოლვილის წარმოშობის ქვეყანაში. თავად ფაქტი, რომ ადამიანი შესაძლოა არის ტერორიზმში ექვმიტანილთა სიაში ან ასოცირებულია აკრძალულ ტერორისტულ ორგანიზაციასთან, იძლევა იმის საფუძველს, რომ განხილული იქნას ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის მუხლი. გამომდინარე ორგანიზაციიდან, შესაძლოა დავუშვათ გამორიცხვის გამოყენება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტატუსიდან გამორიცხვა გარდაუვალია.<sup>83</sup>

81. ბევრ ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება 1 F (ბ) მუხლი, რადგან ტერორიზმის ძალადობრივი ქმედებები სავარაუდოდ ვერ გადიან ე.წ. უპირატესი შემადგენელის ტესტს,<sup>84</sup> რომელიც გამოიყენება იმის განსაზღვრის მიზნით, არის თუ არა დანაშაული პოლიტიკური ხასიათის. უფრო მეტიც, თუ რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც მოყვანილია დანართ “დ”-ში, გააუქმა ადამიანის მიერ პოლიტიკური დანაშაულის ჩადენის გამო მისი ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებული საკითხი, ეს არაპირდაპირ მიუთითებს, რომ აღნიშნული დანაშაული არის არაპოლიტიკური 1 F (ბ) მუხლის მიზნებისათვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ტერორისტული აქტი ჩაითვლება არაპოლიტიკურად, არამედ ეს ნიშნავს, რომ ყოველი ცალკეული შემთხვევა განხილული უნდა იქნეს 1F (ბ) მუხლის კრიტერიუმებთან მიმართებაში.<sup>85</sup>

<sup>81</sup> აუცილებელია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ლეგიტიმური მიზნებისათვის სისხლის სამართლებრივი დევნა და დევნა (იხ. სახელმძღვანელო, პარაგრაფი 56–60).

<sup>82</sup> იხილეთ პარაგრაფი 109 ქვემოთ, თუ როგორ უნდა მოხდეს ტერორიზმის დეფინიციის გამოყენება.

<sup>83</sup> მტკიცებულებითი ღირებულება ჩამოთვლილია პარაგრაფებში 62, 106 და 109 ამ განმარტებითი ბარათის.

<sup>84</sup> იხ. ზემოთ პარაგრაფი 41

<sup>85</sup> საქმეში *T. v. Secretary of State for the Home Department*, [1996] Imm AR 443, ბრიტანეთის ლორდთა პალატამ განაცხადა:

ჩვენც ვფიქრობთ, რომ განურჩეველი დაბომბვები, რომელიც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს იწირავს არ უნდა იყოს პოლიტიკური დანაშაულის კონტექსტში გაყვანილი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ყველა ტერორისტული აქტი კონვენციის საზღვრებს გარეთ ხვდება. ეს უბრალოდ ხაზს უსვამს რომ აღნიშნული ქმედებების პოლიტიკურ კონტექსტში მოხსენიება არ არის ზუსტი. ჩვენს გადაწყვეტილებაში, აეროპორტის დაბომბვა [განსახილველი საქმე] იმდენად სასტიკი აქტი იყო, ის არანაირი პოლიტიკური მიზნით არ შეიძლება ყოფილიყო გამართლებული. ამ შემთხვევაში უბრალოდ არ არსებობდა რაიმე



82. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული დაჯგუფებებისათვის სახსრების გამოყოფა ზოგადად სისხლის სამართლის დანაშაულია (ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა 1999 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების შეზღუდვის შესახებ), ასეთი ქმედებები არ შეიძლება აუცილებლად შეფასდეს იმ სიმძიმით, რის შედეგადაც ისინი მოექცევიან 1 F (ბ) მუხლის ფარგლებში.<sup>86</sup> უნდა შეფასდეს კონკრეტული დანაშაული - თუ რაოდენობა დიდი არ არის და შემთხვევებიც ერთეულია, დანაშაულმა შესაძლოა ვერ დააკამყოფილოს სერიოზულობისათვის დადგენილი დონე. მეორეს მხრივ, დიდი თანხების ტერორისტული ორგანიზაციისათვის მუდმივი შემწირველი შესაძლოა იყოს არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაულის ჩამდენი. გარდა იმისა, რომ თანხების დიდი ოდენობით გადარიცხვა თავისთავად შეიცავს დანაშაულის ელემენტებს, რომელიც იძლევა უარის თქმის საფუძველს, დაფინანსებამ შესაძლოა შედეგად პირის პასუხისმგებლობა დააყენოს სხვა ტერორისტულ საქმეებსა და ქმედებებშიც. მაგალითად, თუ ადამიანი მუდმივად რიცხავს დიდი ოდენობით თანხებს ჯგუფისათვის და იცის მისი ძალადობრივი მიზნების შესახებ, ასეთი ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს პასუხისმგებლად იმ ძალადობრივ ქმედებებზე, რომლებსაც ჩაიდენს ჯგუფი, რადგან სწორედ ამ ადამიანის ფინანსურმა დახმარებამ შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი ასეთი ქმედებების განხორციელებაში. ასეთ შემთხვევებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამომწვევი ფაქტორები განხილულია 50-56 მუხლებში.<sup>87</sup>

83. მიუხედავად იმისა, რომ 1 F (ბ) მუხლი ყველაზე მეტად შეესაბამება ტერორიზმის საკითხებს, გარკვეულ შემთხვევებში ტერორისტული აქტი შეიძლება განეკუთვნოს 1 F (ა) მუხლს, მაგალითად, როგორცაა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. გამონაკლის პირობებში, ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერები, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ტერორიზმის კონკრეტულ საზარელ აქტებს, რომლებიც შეიცავს სერიოზულ საფრთხეს მშვიდობისა და უშიშროებისათვის, შესაძლოა გავხადოთ 1 F (გ) მუხლით განხილვის საკითხი.

84. საერთაშორისო საზოგადოების მცდელობებში, რომელიც მიმართულია ტერორიზმის დამარცხებისაკენ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არაკანონიერი კავშირები ტერორისტებსა და ლტოლვილებს/თავშესაფრის მაძიებლებს შორის თავიდან იქნას აცილებული. უფრო მეტიც, ტერორისტული დანაშაულის განმარტება, მიღებული საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე საჭიროებს დიდ სიზუსტეს, რომ “ტერორისტის” იარლიყი არ იყოს გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისათვის.

---

საკმარისი ზუსტი კავშირი განმცხადებელსა და მის პოლიტიკურ მიზნებს შორის. შეურაცხმყოფელია, რომ ვივარაუდოთ FIS's [Front Islamique du Salut] ამ დანაშაულის კონტექსტში იქნას განხილული.

<sup>86</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, დანაშაულებების დაფინანსება არ უნდა მოიცავდეს მონაწილეობას იმ ჯგუფების საქმიანობაში, რომლებიც სამხედრო კონფლიქტში არიან ჩართული. ეს აღნიშნულია მაგალითად, 2(1)(b) მუხლში 1999 წლის კონვენციის ტერორიზმის დაფინანსების ჩახშობის შესახებ.

<sup>87</sup> ზოგადად, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს რომ 1F მუხლი არ უნდა გავუთანაბროთ უბრალო ანტი-ტერორისტულ ჩანაწერს. ასევე, არ არის მნიშვნელოვანი, რომ თავშესაფრის შესახებ არსებულმა კანონმდებლობამ ტერორისტული აქტები ჩათვალოს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საფუძველად. იხილეთ პარაგრაფი 49 შემდგომი დისკუსიისთვის ამ საკითხზე.

მაგალითად იმისათვის, რომ აკრძალული იქნას ოპონენტის პოლიტიკური საქმიანობა. ასეთმა განმარტებებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს გამორიცხვის დებულებების ინტერპრეტაციაზე და თუ მოხდება მუხლების პოლიტიკური მიზნებით დამახინჯება, ამან შეიძლება გამოიწვიოს იმ ადამიანების ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვა, რომლებიც ამას არ იმსახურებენ.<sup>88</sup> მართლაც, ტერორისტის იარლიყის არასწორად გამოყენებამ შესაძლოა ბიძგი მისცეს ადამიანისათვის ისეთი ბრალდებების წაყენებას, რაც მის წინააღმდეგ დევნის დაწყების ტოლფასია.

### თვითმფრინავის გატაცება

85. თვითმფრინავის გატაცება ის აქტია, რომელსაც გმობს საერთაშორისო საზოგადოება და ეს ნათლად ჩანს დანართ “დ”-ში ჩამოთვლილ შეთანხმებებში. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ გატაცების აქტი ავტომატურად არ ართმევს ამ აქტის შემსრულებელს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის უფლებას. ასეთ შემთხვევაში დგება იმის საჭიროება, რომ განხილული იყოს გამორიცხვის დებულებები, გასაკუთრებით 1F(ბ) მუხლის, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს დანაშაულებრივ აქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება. აშკარაა, რომ გატაცების პროცესი წარმოადგენს მძიმე საფრთხეს უდანაშაულო მგზავრებისა და ეკიპაჟისათვის. სწორედ ამ მიზეზით, გატაცების აქტები ყოველთვის იწვევენ აღშფოთებას. ამგვარად, თვითმფრინავის გატაცების აქტი თითქმის ყოველთვის კვალიფიცირდება, როგორც სერიოზული დანაშაული და ზღვარი პროპორციულობის ტესტისთვის იქნება ძალიან მაღალი – მხოლოდ ძალიან სარწმუნო მტკიცებულებები შეიძლება გამოდგეს და გაამართლოს ლტოლვილის სტატუსის განაცხადზე სათანადო პროცედურის გავლა, როცა საქმე ეხება თვითმფრინავის გატაცების შემთხვევას.<sup>89</sup>

86. ყურადღებით უნდა იყოს განხილული შემდეგი საკითხები:

- იყო თუ არა განმცხადებლის სიცოცხლე რისკის ქვეშ იმის გამო, რომ მასზე განხორციელდებოდა დევნა (ეს მნიშვნელოვანია იმის დასადგენად იყო თუ არა დანაშაული პოლიტიკური ხასიათის, პროპორციულობის კრიტერიუმების დასადგენად და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის მიზნით);
- იყო თუ არა თვითმფრინავის გატაცება ერთადერთი და აუცილებელი საშუალება იმისათვის, რომ ამ ადამიანს თავი დაეღწია საფრთხისათვის, იყო თუ არა გაქცევის სხვა ნაკლებად მძიმე და ნაკლები ზიანის მომტანი საშუალებები

<sup>88</sup> 2002 წლის ივნისის ინტერ ამერიკული კონვენციის ორგანიზაცია მაგალითად განიხილავს დანაშაულს კონვენციის მიზნებისათვის ძალიან ფართოდ, როგორც ეს მოცემულია ტერორიზმის 10 საერთაშორისო დოკუმენტში, მუხლი 2. 12-ე მუხლი აცხადებს, რომ “ ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება პირს, რომლის მიმართაც არსებობს სერიოზულ საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომელიც მოცემულია მე-2 მუხლში.

<sup>89</sup> იხილეთ ასევე, A.C. Helton, “The Case of Zhang Zhenai: Reconciling the International Responsibilities of Punishing Air Hijacking and Protecting Refugees”, 13(4) *Loyola L.A. International & Comparative Law Journal*, ივნისი 1991, გვ. 841.

დევნის ქვეყნიდან თავის დასაღწევად, (პოლიტიკური აქტი, პროპორციულობის პრინციპი და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება).

- იყო თუ არა მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრებისადმი მიყენებული მნიშვნელოვანი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი (მძიმე დანაშაული, პროპორციულობის პრინციპი).

### წამება

87. წამების აკრძალვა, რომელიც ბევრ ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული და გამოყენებული, ახლა უკვე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია. ამ საკითხზე ადამიანის უფლებების შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, 1984 წლის წამების წინააღმდეგ კონვენციის, 1 მუხლი წამებას შემდეგნაირად განსაზღვრავს “ეს არის ქმედება, რომლითაც ხდება აუტანელი ტკივილის ან ტანჯვის, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, განზრახ მიყენება ადამიანისათვის”, როცა “ზემოაღნიშნული ხორციელდება რაიმე კონკრეტული მიზეზით და ასეთი ტკივილის ან ტანჯვის მიყენება ხდება საჯარო პირის ან ადამიანის მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც ოფიციალური პირი ან მისი წაქეზებით ან მისი თანხმობით”. ამგვარად, იმისათვის, რომ ამ კონვენციის კონტექსტის მიხედვით მოხდეს წამების განსაზღვრა, აქტი ჩადენილი უნდა იყოს ან აქტის ჩადენაში უნდა მონაწილეობდეს ადამიანი, რომელიც მოქმედებს, როგორც სახელმწიფოსთან ასოცირებული პირი და არა, როგორც კერძო პირი. წამებას შესაძლოა ჰქონდეს ბევრი ფორმა სამედიცინო თუ სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩათვლით იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც ამის თანხმობა არ მიუციათ.

88. Yთუ წამება არის სამოაქალაქო პირებზე სისტემატური თავდასხმის ნაწილი, იგი შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად 1951 წლის კონვენციის 1 F (ა) მუხლის შესაბამისად. ეს ნათლად არის დადასტურებული ICTY, ICTR და ICC წესდებებში. აღსანიშნავია, რომ წამება ICC სტატუტში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ჩამონათვალშია მითითებული,<sup>90</sup> იქ არ არის მითითებული, რომ წამების ჩადენი უნდა იყოს თანამდებობის პირი ან რომ უნდა მოქმედებდეს კონკრეტული მიზნებით. წამების ცალკეული ფაქტები შესაძლოა წარმოადგენდეს არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაულს 1 F (ბ) მუხლის ფარგლებში.

89. წამება შესაძლოა, ასევე, ჩაითვალოს ომის დანაშაულად, 1 F (ა) მუხლის ფარგლებში. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიხედვით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლიდან გამოდინარე (განსხვავებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლიდან), წამების ფაქტი არ არის აუცილებელი ჩადენილი იყოს სახელმწიფო თანამდებობის პირის ან ნებისმიერი

---

<sup>90</sup> რომის სტატუტის მუხლი 7, 27-ე მუხლთან ერთად, რომელიც განმარტავს, რომ სტატუტი თანაბრად ვრცელდება ყველა პირზე განურჩევლად მათი ოფიციალური პოზიციისა.

სხვა პირის მიერ, რომელიც ფლობს ძალაუფლებას.<sup>91</sup> ასევე, დადგენილია, რომ წამების წინააღმდეგ კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებული მიზნები, რისთვისაც შესაძლოა ხორციელდებოდეს წამება არ არის სრულყოფილი და ისინი უფრო ზოგადი ხასიათისაა.

#### **საერთაშორისო სამართლის სფეროში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დანაშაულებები**

90. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეინიშნებოდა ისეთი ქმედებების გეომეტრიული პროგრესიით ზრდა, რომლებიც წარმოშობენ ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით. გარდა იმ კატეგორიებისა, რომლებიც ნახსენებია 1 F (ა) მუხლში, ჩნდება კიდევ სხვა ქმედებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით სავარაუდოდ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. სამართლის განვითარებასთან ერთად, ყურადღებაა გასამახვილებელი იმაზეც, მოიცავს თუ არა და რა ფორმით შეიძლება მოიცავდეს ამ ახალ დანაშაულებს 1 F მუხლი.

#### **თ. განსაკუთრებული საქმეები**

##### **არასრულწლოვნები**

91. ზოგადად, გამორიცხვის დებულებები შესაძლოა გამოყენებულ იქნას არასრულწლოვნებთან მიმართებაში, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაღწიეს ასაკს, როცა შესაძლოა დაეკისროთ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასეთ სიტუაციებში უნდა გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე. 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციის 40-ე მუხლი ამბობს, რომ სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს მინიმალური ასაკი, რომლიდანაც ადამიანს შესაძლოა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. თუ მიმღებ ქვეყნებში ეს ასაკი განსაზღვრულია,<sup>92</sup> მინიმალურ ასაკს ქვემოთ მყოფი ბავშვი ვერ ჩაითვლება გამორიცხვადი დანაშაულის ჩამდენად. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გადაცდა, დადგენილ ასაკობრივ ზღვარს (ან თუ ასეთი ასაკი არ არის განსაზღვრული), უნდა შეფასდეს კონკრეტული ბავშვის სიმწიფის დონე და დადგინდეს, ჰქონდა თუ არა მას გონებრივი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ჩაედინა დანაშაული რისთვისაც შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით დიდია ალბათობა/პრეზუმფცია, რომ ასეთი გონებრივი პოტენციალი არ არსებობდა დანაშაულის ჩადენის დროს.

92. როდესაც დგინდება გონებრივი შესაძლებლობები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, არსებობს თუ არა სხვა საფუძველი იმისათვის, რომ უარი ვთქვათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები: განაცხადის შემომტანის ასაკი მაშინ, როცა იგი ჩაერთო შეიარაღებული ჯგუფის საქმიანობებში; ჩართვის მიზეზები (ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი ან საკუთარი და სხვების დაცვის მიზნით); ჩართვაზე უარის თქმის

<sup>91</sup> საქმე *Kvočka et al* (Omarska and Keraterm camps), IT-98-30/1, Trial Chamber გადაწყვეტილება, 2 ნოემბერი 2001.

<sup>92</sup> თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არის იმაზე მაღალი წარმოშობის ქვეყანაში, ეს საკითხიც უნდა იქნას გათვალისწინებული (ბავშვის საკეთილდღეოთ).

შემთხვევაში რა შედეგები დადგებოდა; რა დროის მანძილზე იყო კონკრეტული ახალგაზრდა ორგანიზაციის წევრი; მონაწილეობაზე უარის თქმის ან გაქცევის შესაძლებლობა; ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან სხვა წამლების ძალდატანებით გამოყენება (არანებაყოფლობითი ინტოქსიკაცია); დაწინაურება ჩადენილი დანაშაულის გამო; განათლების დონე და ჩადენილის გააზრების შესაძლებლობა; ტრავმა, შეურაცხყოფა ან არასათანადო მოპრობა გადატანილი ბავშვის მიერ, როგორც ორგანიზაციაში მონაწილეობის შედეგი. ჯარისკაცი ბავშვების შემთხვევაში ძალდატანების, თავდაცვისა და სხვების დაცვის საკითხი და არანებაყოფლობითი ინტოქსიკაცია ხშირად ხდება განხილვის საკითხები. მაშინაც კი, როდესაც არ დასტურდება არანაირი, დაცვისათვის და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აცილებისათვის საჭირო ფაქტები, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის მოწყვლადობა, განსაკუთრებით მათი, ვინც არასათანადო მოპყრობის მსხვერპლია, როდესაც გამორიცხვის პროპორციულობაზეა მსჯელობა ომის დანაშაულების ან არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაულებთან მიმართებაში.

93. ყურადღება ყოველთვის გამხვილებული უნდა იყოს ვალდებულებაზე, რომ “ვიმოქმედოთ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან” გამომდინარე და ეს უნდა ხდებოდეს 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად. ამგვარად, ისეთ საქმეებზე, რომელთა განხილვის დროს შესაძლოა დადგეს ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საკითხი, ბავშვი განმცხადებლების საქმეებზე უნდა მუშაობდნენ სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები.<sup>93</sup> გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ინსტრუქციების მიხედვით, ყველა ასეთი საკითხი უნდა გადაეგზავნოს სათაო ოფისს მანამ, სანამ მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ. ბავშვის “ჭეშმარიტი ინტერესის” პრინციპი გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერ ქმედებაში გამორიცხვის შემდეგაც. 1989 წლის კონვენციის მუხლები 39 და 40, ასევე აქტუალური და გასათვალისწინებელია, რადგან ისინი ეხება სახელმწიფოს ვალდებულებებს, დაეხმარონ “მსხვერპლებს” რეაბილიტაციაში (რომელშიც შედის ბავშვი ჯარიკაცებიც) და დაამკვიდრონ სტანდარტები იმ ბავშვების მკურნალობისა და მათთან ქცევისათვის, რომლებმაც სავარაუდოდ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა.<sup>94</sup>

### ოჯახის გაერთიანება

94. ოჯახის გაერთიანების უფლება ზოგადად მოქმედებს დამოკიდებული პირების სასარგებლოდ და არა მათ წინააღმდეგ. ამგვარად, როდესაც მთავარ განმცხადებელს სტატუსიდან გამორიცხავენ, ოჯახის წევრების სტატუსიდან გამორიცხვა არ ხდება ავტომატურ რეჟიმში. მათი მოთხოვნა, რომ მიიღონ ლტოლვილის სტატუსი

<sup>93</sup> ზოგადი პროცედურული დაცვის მექანიზმებისათვის, იხილეთ, UNHCR-ის და Save the Children-ის დოკუმენტი, *Separated Children in Europe Programme: Statement of Good Practice*, ოქტომბერი 2000; UNHCR, “Guidelines on Policies and Procedures in Dealing with Unaccompanied Children Seeking Asylum”, თებერვალი 1997.

<sup>94</sup> 2000 წლის პროტოკოლი 1989 კონვენციის ბავშვთა სამხედრო მოქმედებებში ჩართვის შესახებ, რომელიც 2002 წელს შევიდა ძალაში, ასევე საუბრობს იმაზე რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ “რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის საკითხებში იმ პირთა შესახებ რომლებიც არიან იმ ქმედებების მსხვერპლი, რომელიც პროტოკოლს ეწინააღმდეგება, მათ შორის მოიაზრებიან 18 წლამდე ბავშვები რომელთაც იძულებითი რეკრუტირება მოხდა.

ინდივიდუალურად განხილვის რეჟიმში უნდა გადაწყდეს საქმის. ასეთი მოთხოვნები მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც დევნის საფრთხე წარმოადგენს იმ ნათესავთან კავშირის შედეგს, რომლის სტატუსიდან გამორიცხვაც განხორციელდა. ოჯახის წევრებს უარი ეთქმებათ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სერიოზული მიზეზები იმისათვის, რომ ვიფიქროთ, რომ ისინი თავის მხრივ პასუხისმგებლები არიან ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენაც იწვევს გამორიცხვას.

95. როდესაც ოჯახის წევრებს ეძლევათ ლტოლვილის სტატუსი, ის პირი, რომლის გამორიცხვაც განხორციელდა, ვერ ისარგებლებს ოჯახის გაერთიანების უფლებით, რომ მიიღოს დაცვა ან დახმარება, როგორც ლტოლვილის სტატუსის მქონე პირმა.

### **მასობრივი შემოსვლა (*mass influx*)**

96. ზოგადი წესის მიხედვით, გამორიცხვის მუხლის გამოყენება მასიური ნაკადის არსებობის შემთხვევაშიც ხდება. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ინდივიდუალური შეფასება შესაძლოა შეუძლებელი გახდეს ასეთი სიტუაციის ადრეულ ეტაპზე. ეს არ ნიშნავს, რომ ჯგუფურად უარის თქმა გამართლებულია. ჰუმანიტარული პრინციპების მოთხოვნაა, რომ დახმარება და დაცვა უნდა მიიღოს ყველა ადამიანი მანამ, სანამ მიღებული იქნება ინდივიდუალური გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის შესახებ. თუმცა, როდესაც შერეული ნაკადია, აუცილებელად უნდა მოხდეს სამხედრო ადამიანების განცალკევება სამოქალაქო პირებისაგან. სამხედრო პირები უნდა განცალკევდნენ ლტოლვილების ბანაკებისაგან მოშორებით და გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის შესახებ არ უნდა იქნეს მიღებული პირველივე ზედაპირული შესწავლით. ისინი არ უნდა ჩაითვალოს თავშესაფრის მაძიებლებად მანამ, სანამ ხელისუფლება დროის გონივრულ ფარგლებში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ მათ ნამდვილად დაანებეს თავი სამხედრო საქმიანობას. მხოლოდ ამის დაზუსტების შემდეგ ხდება ლტოლვილის სტატუსის შესახებ განაცხადის განხილვა, მათ შორის გამორიცხვის საკითხის შესწავლა, და ეს უნდა მოხდეს თითოეული საქმის ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე.<sup>95</sup> გამორიცხვა თავიდანვე უპირობო არ უნდა იყოს ასეთი ადამიანებისათვის – თითოეული საკითხი უნდა განვიხილოთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით.

97. ნათელია, რომ ოპერაციული და ტექნიკური სირთულეები, რომლებიც თან ახლავს მასიური შემოსვლის დროს საქმეების ინდივიდუალურ განხილვას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სერიოზული დახმარების გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა და დარეგულირება ძალიან რთული იქნება. კერძოდ, სამხედრო კონფლიქტში მონაწილე ადამიანების განიარაღება და მათი განცალკევება არ წარმოადგენს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მანდატს და მოითხოვს დიდ ძალისხმევას მიმღები ქვეყნისა და საერთაშორისო საზოგადოებისაგან, რომელთაგანაც იგი ხშირად თანამშრომლობს.

<sup>95</sup> იხილეთ აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა No. 94 (LIII), 2002, პარაგრაფი (c)(vii) და UNHCR, “The Civilian Character of Asylum: Separating Armed Elements from Refugees”, გლობალური კონსულტაციები საერთაშორისო დაცვაზე, (EC/GC/01/5), 19 თებერვალი 2001, პარაგრაფი 20. იხილეთ ასევე ზემოთ პარაგრაფი 63 ყოფილ მებრძოლებზე.

### III. პროცედურული საკითხები

#### ა. პროცედურული სამართლიანობა

98. ვითვალისწინებთ რა, იმ მიმე შედეგებს რაც პირის სტატუსიდან გამორიცხვას უკავშირდება და ამ ნაბიჯის განსაკუთრებულ ხასიათს, საჭიროა მკაცრი და ზუსტად განსაზღვრული პროცედურული საკითხების ჩართვა და გათვალისწინება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ საქმეების განხილვისას. გათვალისწინებული უნდა იყოს ის პროცედურებიც, რომლებიც ზოგადად გამოიყენება საერთოდ ლტოლვილობის სტატუსის მინიჭების დროს.<sup>96</sup> მათ რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი:

- თითოეული საქმის ინდივიდუალურად განხილვა;
- განმცხადებელს უნდა ჰქონეს შესაძლებლობა, რომ განიხილოს და კომენტარები გააკეთოს იმ მტკიცებულებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ხდება მისი სტატუსიდან გამორიცხვა;
- იურიდიული კონსულტაციების მიღების უფლება;
- კომპეტენტური თარჯიმნის ყოლის შესაძლებლობა, როდესაც არის ამის საჭიროება;
- უარის თქმის მიზეზები უნდა მიეწოდოს წერილობითი ფორმით;
- უფლება, გაასაჩივროს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ ორგანოში;
- პირი არ უნდა იქნას ქვეყნიდან გაძევებული, მანამ, სანამ არ ამოიწურება ყველა სამართლებრივი საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს გამორიცხვის გასასაჩივრებლად.

#### ბ. გამორიცხვის საკითხის განხილვა ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის კონტექსტში

99. ზოგადად, გამორიცხვის დებულებების განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით, ამ მუხლების გამოყენება კარგად უნდა იყოს გაანალიზებული ლტოლვილის სტატუსის დადგენის საერთო პროცედურის დროს და არ შეიძლება გადაწყდეს დასაშვებობის ეტაპზე ან დაჩქარებული პროცედურების ფარგლებში. ვინაიდან ამას ახლავს რისკი, რომ თავშესაფრის მაძიებლის გაიგივება შესაძლოა უსამართლოდ მოხდეს კრიმინალებთან. მაშინ როდესაც გამორიცხვის საკითხის განხილვა ხდება ჩვეულებრივი პროცედურების ფარგლებში, ეს საშუალებას გვაძლევს იმ ფაქტორებთან ერთად, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველს გვაძლევს, განვიხილოთ და შევაფასოთ ის მიზეზები, რომლებიც განმცხადებლის გამორიცხვის შესაძლებლობაზე მიუთითებს. ერთიანი და გლობალური მიდგომა

<sup>96</sup> იხილეთ UNHCR, “თავშესაფრის პროცესები (სამართლიანი და ეფექტური თავშესაფრის პროცედურა)”, გლობალური კონსულტაციები საერთაშორისო დაცვაზე, (EC/GC/01/12), 31 მაისი 2001, უფრო კონკრეტულად 50-ე პარაგრაფი.

გვამღევს საქმის ფაქტიური და სამართლებრივი საკითხების სრული შეფასების საშუალებას, რაც აუცილებელია გამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, რაც ხშირ შემთხვევაში კომპლექსური საკითხია და მოითხოვს სავარაუდო დანაშაულის ბუნების შეფასებას და განმცხადებლის როლის დადგენას ამ დანაშაულში, ერთის მხრივ, და სავარაუდო დევნის საფრთხის შეფასებას, მეორე მხრივ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც დგება პროპორციულობის საკითხი (იხილეთ მუხლები 76-78).

100. 1F მუხლის განსაკუთრებული ბუნება გვკარნახობს, რომ ჯერ უნდა განვიხილოთ განმცხადებლის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ – გამორიცხვა, თუმცა ამ საკითხში არანაირი ზუსტი და მკაცრი ფორმულა არ არსებობს. გლობალური მიდგომა იძლევა მოქნილობის საშუალებას, შეგვიძლია გავითვალისწინოთ ყოველი ცალკეული შემთხვევის ბუნება. მაგალითად, სტატუსის დადგენის საკითხის განხილვა გამორიცხვის დებულებების განხილვამდე ხშირად შესაძლოა სასარგებლო იყოს, რადგან ამან 1F მუხლის განხილვა შეიძლება აგვარიდოს თავიდან იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის საკმარისი საფუძველი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურებში ჩართვისათვის. ექვმიტანილი ტერორისტების შემთხვევაში, ეს გვამღევს საშუალებას თავიდანვე განვსაზღვროთ, ადამიანს ემუქრება სისხლის სამართლებრივი დევნა (შესაბამისად არ იმსახურებს ლტოლვილის სტატუსს) თუ დევნა გარკვეული მოტივით. გარდა ამისა, ასეთი თანმიმდევრობით განხორციელებული პროცედურა საშუალებას იძლევა უფრო სრულად გავიაზროთ ოჯახის წევრებთან დაკავშირებული მდგომარეობა და გავარკვიოთ რამდენად საჭიროებენ ისინი საერთაშორისო დაცვას. გამორიცხვა გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა განხილულ იქნას ლტოლვილის სტატუსის დადგენის გარეშე: (1) თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს გამოტანილი აქვს დაკავების ორდერი; (2) თუ არსებობს აშკარა და ადვილად მოსაპოვებელი მტკიცებულება, რომელიც ცალსახად მიუთითებს განმცხადებლის მონაწილეობაზე სერიოზულ დანაშაულებში, განსაკუთრებით 1 F (გ) მუხლის შემთხვევები და (3) გასაჩივრების ეტაპზე იმ შემთხვევებში, როდესაც გამორიცხვის განხილვა არის დავის საგანი.

### **გ. სპეციალური განყოფილებები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საქმეებზე**

101. სახელმწიფოებს აქვთ ლეგიტიმური ინტერესი, რომ განსაზღვრონ გამორიცხვის საფუძველი და აუცილებლობა რაც შეიძლება სწრაფად, განსაკუთრებით, ტერორიზმში ბრალდებულ პირებთან მიმართებაში. ეს არ ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული შეუთავსებელია საფუძვლიან ფაქტობრივ და სამართლებრივ შეფასებასთან. UNHCR იძლევა რეკომენდაციას, რომ გამორიცხვის საქმეები განხილულ იქნას სპეციალური განყოფილებების მეშვეობით (საუბარია სტატუსის დადგენაზე პასუხისმგებელი ორგანოს ფარგლებში), რომელიც განიხილავს ასეთ შემთხვევებს დაჩქარებული განხილვის წესით. ასეთ განყოფილებაში მომუშავე თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა, გამოცდილება და კვლიფიკაცია როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის, ისე ლტოლვილთა სამართლის შესახებ და, ასევე, წვდომა განახლებულ დამხმარე



ინფორმაციასთან და მონაცემებთან, როგორცაა მაგალითად მთავარი ტერორისტული ორგანიზაციების ჩამონათვალი, ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ და სხვა. ასეთ განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ გახსნილი კომუნიკაცია სადაზვერვო სამსახურებთან და სისხლის სამართლის საკითხებზე მომუშავე ძალოვან სტრუქტურებთან.

#### **დ. საქმის განხილვის გადადება სისხლის სამართლის სამართალწარმოების დასრულებამდე**

102. თუ ადამიანი ძებნაშია ეროვნული სასამართლოს მიერ ქვეყანაში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის ან ექსტრადიციის სამართალწარმოების გამო, გონივრული იქნება, გადაიდოს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი (გამორიცხვის საფუძვლების შესწავლის ჩათვლით) მანამ, სანამ ეს სამართლებრივი პროცესები არ დასრულდება. ამ უკანასკნელს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა თავშესაფრის მოთხოვნის საკითხის განხილვაზე, მიუხედავად იმისა, რომ I F მუხლის მიხედვით, არ არის სავალდებულო იყოს ავტომატური კავშირი ექსტრადიციასა და გამორიცხვას შორის. თუმცა, ზოგადად, ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნაზე პასუხი უნდა დაფიქსირდეს საბოლოო გადაწყვეტილებაში მანამ სანამ განხორციელდება ექსტრადიცია.<sup>97</sup> ეს არ ეხება ადამიანის გადაცემას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისათვის, რადგან ასეთი ქმედება არ აყენებს ადამიანს დევნის საფრთხის წინაშე.

#### **ე. თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტის კონფიდენციალურობა**

103. გამორიცხვის დებულებების განხილვამ შესაძლოა მიგვიყვანოს ერთი კონკრეტული განაცხადის შესახებ მონაცემთა და ინფორმაციის სხვა სახელმწიფოებთან გაზიარების აუცილებლობამდე იმისათვის, რომ მაგალითად, მოვარგოთ დაზვერვითი ინფორმაცია ადამიანის სავარაუდო ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით. დადგენილი პრინციპების შესაბამისად, ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლების შესახებ, მათ მიერ განაცხადის შეტანის ფაქტის ჩათვლით, არ უნა იქნეს მიწოდებული მის წარმოშობის ქვეყანისათვის, რადგან ამან შესაძლოა ეს ადამიანი, მისი ოჯახი, მეგობრები და ნაცნობები დააყენოს რისკის ქვეშ. გამონაკლის შემთხვევებში, თუ რისკის წინაშე დგება საკითხი, რომელიც ეხება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, მაშინ კონტაქტი ასეთ ქვეყანასთან შესაძლოა იქნეს გამართლებული. მაგალითად, ეს შესაძლოა, იყოს ერთადერთი მეთოდი, რომლითაც შეიძლება მოვიპოვოთ კონკრეტული მტკიცებულებები ადამიანის წინა და შესაძლო მიმდინარე ტერორისტულ საქმიანობებზე. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტი უნდა დარჩეს კონფიდენციალურად.

104. კონფიდენციალურობის პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როცა მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება გამორიცხვის შესახებ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ თავშესაფრის სისტემის ერთიანობა და მთლიანობა – კონფიდენციალურად გაცემული ინფორმაცია უნდა იყოს დაცული.

---

<sup>97</sup> დადგენა შესაძლოა საჭირო არც იყოს, მაგალითად როდესაც ექსტრადიცია მესამე ქვეყანაში არ აყენებს არაპირდაპირი *refoulement*-ის რისკს (მაგალითად, მესამე ქვეყანა შესაბამისად განიხილავს თავშესაფრის განაცხადს იმ შემთხვევაში თუ პირი დეპორტაციის საფრთხის ქვეშ დადგება).

### ვ. მტკიცების ტვირთი

105. ზოგადად, თავშესაფრის პროცედურებში, მტკიცების ტვირთი ნაწილდება განმცხადებელსა და სახელმწიფოს შორის (გამომდინარე ამ კონტექსტში ადამიანის მოწყვლადობისაგან).<sup>98</sup> თუმცა, როგორც ზოგიერთი ქვეყანის იურისდიქციაში განაცხადეს, 1 F მუხლის განხილვისას მტკიცების ტვირთი გადადის სახელმწიფოზე. ეს შეესაბამება გამორიცხვის საფუძვლების სპეციფიკურ ბუნებასა და ზოგადად სამართლის პრინციპებთან, რომ თუ ადამიანს სურს ჩამოაყალიბოს და დაამტკიცოს რამე, მტკიცებულების ტვირთიც მასზეა. ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის საკითხი, რომელიც ლტოლვილის სტატუსის დადგენისას გამოიყენება, ასევე უნდა იქნას გამოყენებული გამორიცხვის საქმეებშიც.

106. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი შესაძლოა შებრუნდეს და აღმოჩნდეს განმცხადებლის მხარეს, როდესაც არსებობს მყარი მტკიცებულებები გამორიცხვისთვის და წარმოიშვება იმ პრეზუმფციის უარყოფის შესაძლებლობა.<sup>99</sup> ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა. ამის შემდეგ, ამ ადამიანზეა დამოკიდებული უარყოს ეს პრეზუმფცია და დაამტკიცოს, რომ მაგალითად, მისი პიროვნება არასწორად იყო იდენტიფიცირებული. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, საერთაშორისო საზოგადოების მიერ შემუშავებული სიები და ორგანიზაციები, რომლებიც ეჭმიტანილნი არიან ტერორისტულ საქმიანობაში, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მტკიცების ტვირთის მიმართულების შესაცვლელად. განსხვავებით ICTY/ICTR-ის საბრალდებო დასკვნებისაგან, ასეთი სიები შექმნილია უფრო პოლიტიკური და არა სამართლებრივი პროცესების დროს და ამიტომაც ამ სიაში შეყვანის მტკიცებულებითი ზღვარი ძალიან დაბალია. უფრო მეტიც, სიაში შეყვანის კრიტერიუმები ბევრად უფრო ფართო შეიძლება იყოს ვიდრე 1 F მუხლის ფარგლები. ამისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის განაჩენი ზოგადად არის კავშირში 1 F მუხლით განსაზღვრულ საქმიანობებთან, კერძოდ ეს შეეხება 1 F(ა) მუხლს. ტერორისტების სიაზე საუბარი და განხილვა მოცემულია ქვევით, 109-ე პუნქტში.

### ზ. მტკიცების სტანდარტი

107. მტკიცების სტანდარტი შემდეგნაირად არის განსაზღვრული 1 F მუხლში: “სერიოზული საფუძველი ვარაუდისთვის.” ზემოაღნიშნული არ არის ჩვეულებრივი კონცეფცია ქვეყნის შიდა კანონმდებლობისათვის. სახელმწიფო პრაქტიკა არ არის თანმიმდევრული ამ საკითხზე, მაგრამ ნამდვილად აქვს მყარი პოზიცია, რომ სისხლის სამართალში მტკიცებულების სტანდარტის დაკმაყოფილება (მაგალითად, საერთო სამართლის სიტემებში – გონივრული ეჭვი) არ არის საჭირო. ეს ნიშნავს, რომ გამორიცხვა არ თხოულობს ბრალეულობის განსაზღვრას ისე, როგორც ამას მოითხოვს სისხლის სამართალი. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ 1 F მუხლის გამოყენება ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს 1951 წლის კონვენციის საერთო ჰუმანიტარულ

<sup>98</sup> იხილეთ სახელმძღვანელო, პარაგრაფები 195–199, რომელიც განიხილავს მტკიცების ტვირთს და UNHCR, “Note on Burden and Standard of Proof in Refugee Claims”, 16 დეკემბერი 1998.

<sup>99</sup> იხილეთ ასევე პარაგრაფი 58 ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ.

მიზნებს, მტკიცების სტანდარტი უნდა იყოს საკმაოდ მაღალი, რომ *bona fide* ლტოლვილების გამორიცხვა არ მოხდეს შემთხვევით. ამგვარად, “ალბათობის ბალანსი” დაბალ ზღვარზე ფუნქციონირებს. როგორც ეს ხდება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციებში, საჭიროა სერიოზული მიზეზები, რომელთაგანაც გამომდინარეობს ეჭვები და მხოლოდ უბრალო Eეჭვის არსებობა არ არის საკმარისი.<sup>100</sup> მტკიცების სტანდარტის ზოგადი გამოყენება, რაც საჭიროა განაჩენისათვის თავისთავად უსარგებლოა, რადგან სტანდარტი სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულია. საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ განაჩენის შედგენისადმი მკაცრი მიდგომის გათვალისწინებით, ასეთი ორგანოების განაჩენები, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ხედვით, აკმაყოფილებს მტკიცების სტანდარტს, რომელსაც ითხოვს 1 F მუხლი. სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე, ეს შესაძლოა ასევე ვრცელდებოდეს კონკრეტულ ინდივიდუალურ განაჩენებზე.

108. ნათელია, რომ იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს 1 F მუხლით განსაზღვრული “სერიოზული საფუძველი, აუცილებელია ისეთ ქმედებებში მონაწილეობის ცხადი და საიმედო მტკიცებულება, რომლებიც წარმოადგენს უარის თქმის საფუძველს,”. განაცხადის შემომტანის აღიარებითი ჩვენება მონაწილეობის შესახებ უნდა იქნას გადამოწმებული, განსაკუთრებით თუ ეს აღიარება მოხდა განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში, სადაც თავშესაფრის მაძიებელი, შესაძლოა, იმყოფებოდა ზეწოლის ქვეშ. კიდევ ერთხელ, განმცხადებლის გამამტყუნებელი განაჩენი ისეთ ქმედებებში, რომლებიც ითვლება უარის თქმის საფუძველად, საკმარისი მტკიცებულებაა განცხადებაზე უარის სათქმელად, თუ გამამტყუნებელი განაჩენი საიმედოა. აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის წარმოების სამართლიანობის შეფასება იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად იცავს კონკრეტული ქვეყანა სისხლის სამართლის საერთაშორისო სტანდარტებს. ზემოაღნიშნულის მსგავსად, ის ფაქტი, რომ ადამიანი მსჯავრდებული იყო უცხო იურისდიქციაში (და არა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ) ან არსებობს მოთხოვნა მის ექსტრადიციაზე, ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს გამორიცხვისთვის საკმარის მტკიცებულებად. ყველა საქმეში, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ და მივმართოთ ყველა ღონეს, რომ წარმოშობის ქვეყნის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი. მაგალითად, უნდა შეფასდეს სანდოა თუ არა აღიარების ფაქტი.

109. მოწმის ან სხვა წყაროს სანდო ჩვენება და ინფორმაციის შედარება განმცხადებლის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან (მათი სანდოობის შეფასების ჩათვლით), ასევე, იძლევა საკმარის მტკიცებულებას გამორიცხვის შეფასებისთვის. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის ყოფნამ ტერორისტულ საქმიანობაში ეჭმიტანილთა სიაში ბიძგი უნდა მისცეს გამორიცხვის შეფასებას, თუმცა თავად ფაქტი არ აკმაყოფილებს “სერიოზული ვარაუდის” კრიტერიუმებს. როგორც უკვე ითქვა მუხლში 106, უნდა შემოწმდეს ასეთი სიების შედგენის მტკიცებულებითი და მნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი კრიტერიუმები. ასევე, როდესაც შედგენილია ტერორისტული ორგანიზაციების საერთაშორისო სიები და კონკრეტული ადამიანი ასოცირდება ასეთ

<sup>100</sup> იხილეთ შვეიცარიის თავშესაფრის საკითხთა გასაჩივრების კომისიის საქმე M.B., 14 სექტემბერი 1998, 1999/12; საქმე S.X. 11 დეკემბერი 1999; საქმე S.M. 28 მაისი 2001; საქმე Y.N., 27 ნოემბერი 2001.

ორგანიზაციებთან, ეს იძლევა გამორიცხვის შეფასების გაკეთების საფუძველს. გამონაკლის შემთხვევაში, როცა სიის შედგენის კრიტერიუმები ისეთია, რომლის მიხედვითაც გარკვეული ორგანიზაციები და მათი წევრები ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ მონაწილეებად მძიმე და ძალადობრივ დანაშაულებში, შესაძლოა დადგეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრეზუმფციის საკითხი გამორიცხვად ქმედებასთან მიმართებაში, მაგრამ როგორც ეს ნათქვამია 57-58 პუნქტებში, უნდა მოხდეს ამის ყურადღებით გაანალიზება. საერთაშორისო კონსენსუსის არარსებობის გამო, ტერორიზმში ეჭვმიტანილთა და ტერორისტული ორგანიზაციების ეროვნულ სიებს აქვთ ნაკლები ხარისხის მტკიცებულებითი ღირებულება ვიდრე საერთაშორისო სიებს.

110. როდესაც წარმოიშვება გამორიცხვისთვის საკმარისი მტკიცების სტანდარტი, განმცხადებელი ვალდებულია გააბათოლოს იგი, რაც შესაძლებელია მოხდეს დამაჯერებელი განმარტებით, რომ იგი არ მონაწილეობდა ან თავი დაანება ყველა გამორიცხვად ქმედებას. ამავე დროს, არ უნდა არსებობდეს სერიოზული საწინააღმდეგო მტკიცებულება.

111. სირთულე იმის დადგენისას, დაკმაყოფილდა თუ არა მტკიცების სტანდარტი კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს მონაწილე დაინტერესებული პირის მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმა. თუმცა, თანამშრომლობაზე უარის თქმა თავისთავად არ წარმოადგენს დანაშაულს თუ არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის ნათელი და საიმედო მტკიცებულება. მეორე მხრივ, განმცხადებლის უარმა, ითანამშრომლოს სტატუსის დადგენის პროცედურაში, ზოგჯერ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება. ამან ხელი არ უნდა შეუშალოს იმის დადგენას, რომ საკმარისი მტკიცებულება, როგორც ეს განსაზღვრული იყო 105 – 106-ე პუნქტებში, არსებობს იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს I F მუხლი.<sup>101</sup> მიუხედავად ამისა, ყოველთვის მნიშვნელოვანია, შევაფასოთ ადამიანის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის მიზეზები, რადგან ეს შეიძლება იყოს გასაგები ფაქტორების გამო (მაგალითად, ცუდი თარგმანი), ტრავმა, გონებრივი შესაძლებლობა, შიში ან სხვა ფაქტორები.

### **თ. სენსიტიური მტკიცებულებები**

112. უარის თქმა არ უნდა ეფუძნებოდეს ისეთ მტკიცებულებებს, რომლის ეჭვის ქვეშ დაყენებისა და უარყოფის შესაძლებლობა პირს არ გააჩნია. ეს არ შეიძლება, რადგან არღვევს სამართლიანობისა და ბუნებრივი სამართლის პრინციპებს. მიუხედავად ამისა, თუ წყაროს და/ან მტკიცებულების არსის გამოვლენას შეუძლია რისკის ქვეშ დააყენოს მოწმე ან შელახოს ეროვნული უშიშროების ინტერესები, წარმოიშვება კონფლიქტი ფაქტების სრული გამჟღავნების პრინციპთან.

113. გამონაკლისის სახით, შესაძლებელია ანონიმური მტკიცებულების (როდესაც წყარო დაფარულია) გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ეს აბსოლუტურად აუცილებელია მოწმის უსაფრთხოების დასაცავად და, როცა თავშესაფრის მაძიებელს არ მიადგება

---

<sup>101</sup> მსგავსი თანამშრომლობაზე უარი, შესაძლოა ასევე მიანიშნებდეს, რომ გამორიცხვის საკითხი არარელევანტურია ვინაიდან ლტოლვილის სტატუსის დადგენა ვერ ხერხდება.

მნიშვნელოვანი ზიანი. საიდუმლო მტკიცებულება ან მტკიცებულება, რომელიც განიხილება დახურულ ფორმატში (სადაც არსი ასევე დაფარულია) არ შეიძლება გამოყენებული იყოს პირის სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლად. სურვილი იმისა, რომ გასაიდუმლდეს კონკრეტული მტკიცებულება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, თუმცა ასეთი ინტერესების დაცვა შესაძლებელია პროცედურული დაცვის მექანიზმების/გარანტიების გამოყენებით, რაც ამავდროულად პატივს სცემს თავშესაფრის მაძიებლის უფლებებს, რომ სათანადოდ წარიმართოს პროცედურები.<sup>102</sup> მაგალითად, უნდა ვიფიქროთ სენსიტიური ინფორმაციის საერთო შინაარსის გამჟღავნებაზე კონკრეტული პირისათვის და იმავდროულად დეტალები გავანდოთ მის სამართლებრივ წარმომადგენელს (რადგან ამ უკანასკნელს აქვს ასეთი ინფორმაციის მიღების უფლება). უფრო მეტიც, გადაწყვეტილება გამორიცხვის შესახებ, რომელიც ნახევრად გამჟღავნებულ ინფორმაციას ეყრდნობა, შესაძლოა განხილული იქნას დახურულ მოსმენებზე სანამ საკითხი გავა დამოუკიდებელ ტრიბუნალზე (რომელსაც შესაძლებლობა აქვს მიიღოს ყველა რელევანტური მტკიცებულება).

## დანართი

### დანართი ა: გამორიცხვის შედეგები

ზოგი სამართლებრივი მოსაზრება, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს მიერ გამორიცხვის გამოყენებას არის შემდეგი:

---

<sup>102</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Chahal v. United Kingdom* (1995) აღნიშნა, “ არსებობს ტექნიკა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ლეგიტიმური უსაფრთხოების ინტერესები რომელიც უკავშირდება სადაზვერვო ინფორმაციის ბუნებას და ამავდროულად დაცული იყოს პროცედურული სამართლიანობა” (პარაგრაფი 131).

- 1984 წლის გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა ფორმების შესახებ, მუხლი 3(1): “არც-ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გაასახლოს, დააბრუნოს ან ექსტრადირება გაუკეთოს ადამიანს სხვა ქვეყანაში, როცა არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები იმისათვის, რომ ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანი გახდება წამების მსხვერპლი”.
- 1966 წლის საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 7: “ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამება ან სასტიკ, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობას ან დასჯას...”
- 1969 წლის ამერიკის ადამიანის უფლებების კონვენციის მუხლი 22(8): “არც-ერთ შემთხვევაში არ შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქის დეპორტირება ან დაბრუნება ქვეყანაში, მიუხედავად იმისა რომ ეს შეიძლება იყოს მისი წარმოშობის ქვეყანა, თუ ამ ადამიანის სიცოცხლის უფლებას ან პიროვნულ თავისუფლებას ემუქრება საფრთხე ამ ადამიანის რასობრივი, ეროვნული, რელიგიური კუთვნილების, მისი სოციალური სტატუსისა და პოლიტიკური მოსაზრებების გამო”.
- 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ, მუხლი 37(ა): “სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არც-ერთი ბავშვი არ დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას”.
- 1950 წლის ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ: “აკრძალულია ნებისმიერი ადამიანის წამება ან არაჰუმანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა და დასჯა”. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს საქმეზე დადგინდა და სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადამიანის გასახლება ან ექსტრადიცია იმ ქვეყანაში, სადაც მას ემუქრება ზემოაღნიშნული ქმედებები არღვევს მე-3 მუხლს.<sup>103</sup>
- ადამიანის დაბრუნება იქ, სადაც მას ემუქრება სიკვდილის დასჯა, აკრძალულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, როგორც არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფორმა ან იმის გამო, რომ მასპინძელმა ქვეყანამ გააუქმა სიკვდილით დასჯა. რეგიონულ დონეზე, 2003 წლის პროტოკოლი, რომელსაც შესწორებები შეაქვს 1997 წლის ევროპის კონვენციაში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, ამატებს მუხლს 5: “არაფერი ამ კონვენციაში არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც იმ ქვეყნის ვალდებულება, რომელსაც ეგზავნება მოთხოვნა, მოახდინოს ადამიანის ექსტრადიცია, თუ ამ ადამიანს ემუქრება სიკვდილით დასჯა ან... სამუდამო პატიმრობა ვადამდე პირობითი გათავისუფლების უფლების გარეშე...”.

<sup>103</sup> იხილეთ “UNHCR Manual on Refugee Protection and the European Convention on Human Rights”, 2003 წლის აპრილი.

- რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტი შეიცავს პრინციპს, რომელიც ამბობს, რომ აკრძალულია ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქის გაძევება, „რომელიც კანონიერად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გარდა კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევისა.<sup>104</sup> ამ ინსტრუმენტებიდან ზოგი ამბობს, რომ ასეთი ადამიანის გასახლება აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს.
- სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი შეიცავს პრინციპს, რომელიც ამბობს რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის კოლექტიური გაძევება აკრძალულია. გარდა ამისა, პრინციპი, რომ გაძევება უნდა განხორციელდეს ნაკლებად მტკივნეული ფორმით ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში იყო მკაცრად განსაზღვრული.
- შეთანხმებები ექსტრადიციის შესახებ ხშირად შეიცავს დევნის აკრძალვის დებულებას, რომელიც ახდენს იმ ადამიანის გადაცემის პრევენციას, რომელსაც შესაძლოა დაუდგეს დევნის რისკი (განსხვავებით სისხლის სამართლებრივი დევნისგან).

## დანართი ბ. ინსტრუმენტები რომლებიც ომის დანაშაულებს განმარტავს

**ლონდონის ქარტიის** მუხლი 6(ბ) ომის დანაშაულების ცნების განმარტება შეიცავს სამოქალაქო პირების მკვლელობას და არასათანადო მოპრობას, ომის ტყვეების მკვლელობას და არასათანადო მოპყრობას, მძევლების მკვლელობას, ქალაქების, დაბებისა და სოფლების უმიზეზო ნგრევასა და განადგურებას, რომელიც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით.

1949 წლის **ჟენევის კონვენციებში**<sup>105</sup> განსაზღვრული “სერიოზული დარღვევები” და **დამატებითი პროტოკოლი 1-ის მუხლი 85** ასევე შეიცავს ომის დანაშაულებს. ეს მოიცავს განზრახ მკვლელობას, წამებას და სხვა არაადამიანურ მოპყრობას, ტანჯვის და სერიოზული ფიზიკური ან ჯანმრთელობისათვის განზრახ ზიანის მიყენებას დაცული ადამიანებისათვის; თავდასხმებს, განურჩეველ თავდასხმებს სამოქალაქო პირებზე ან მათზე, ვინც განსაზღვრულია, როგორც საომარო მოქმედების გაგრძელების უუნარო, ასევე, თავდასხმებს მოსახლეობის გადაყვანის პროცესში; აპარტიდი და სხვა არაჰუმანური და ღირსების შემლახავი ქმედებები, რომლებშიც შედის ინდივიდუალური ღირსების შეურაცხყოფა რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე; თავდასხმები დაუცველ ადგილობრივ ტერიტორიებსა და დემილიტარიზებულ

<sup>104</sup>სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი, მუხლი 13; 1984 წლის პროტოკოლი No. 7 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მუხლი 1(1); 1969 ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ, მუხლი 22(6); 1981 აფრიკული კონვენცია ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ, მუხლი 12(4); 1954 მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ კონვენცია, მუხლი 31.

<sup>105</sup> ასევე იხილეთ მუხლები 50, 51, 130 და 147 პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ჟენევის კონვენციის.

ზონებზე. “სერიოზული დარღვევა” ხორციელდება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში.

**ICTY**-ს წესდების მე-2 და მე-3 მუხლები მოიცავს 1949 წლის ჟენევის კონვენციებით განსაზღვრულ სერიოზულ დარღვევებს ომის კანონებისა და ჩვეულებითი სამართლის. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებაში, დანაშაულებში შედის განზრახ მკვლელობა, წამება და არაადამიანური მოპყრობა; წინასწარ განზრახვით დიდი ტანჯვის მიყენება ან სერიოზული ფიზიკური და ჯანმრთელობისათვის საშიში დაზიანებების მიყენება; ქონების ფართომასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რომელიც არ არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით და განხორციელებულია უკანონოდ და უხეში ფორმებით. სამოქალაქო პირის ან სამხედრო ტყვეების იძულება იმსახუროს მტრის ძალებში; სამხედრო ტყვეებისთავი ან სამოქალაქო პირისათვის სამართლიანი და ადამიანური სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლების განზრახ ჩამორთმევა; სამოქალაქო პირის უკანონო დეპორტაცია ან გადაცემა ან უკანონი დატყვევება; სამოქალაქო პირების მძევლებად აყვანა. საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთან მიმართებაში, ომის დანაშაულები წარმოიშვება 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლის დარღვევის შედეგად, რომელიც ეხება მთავარ ჰუმანიტარულ პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება ყველა შეიარაღებულ კონფლიქტზე. ამაში შედის მკვლელობა, მძევლად აყვანა და პირადი ღირსების შეურაცხყოფა იმ ადამიანისა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებს შეიარაღებულ კონფლიქტში. **ICTR** წესდების მე-4 მუხლი ომის დანაშაულებს განსაზღვრავს, როგორც 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლის და დამატებითი მეორე პროტოკოლის სერიოზულ დარღვევებს (ორივე ეხება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს).

იმ აქტებს შორის, რომლებიც **ICC** სტატუტის მე-8 მუხლით არის განსაზღვრული, შედის ომის დანაშაულები, წარმოადგენს საერთაშორისო თავდასხმებს სამოქალაქო მოსახლეობაზე ან საგნებზე; საერთაშორისო თავდასხმები ჰუმანიტარული მიზნებით მომსახურე პერსონალიზე; იმ ადამიანის მოკვლა და დაჭრა, ვინც უკვე ჩაბარდა; აკრძალული იარაღის გამოყენება (მომწავლავი გაზები); გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები; შიმშილობის, როგორც ბრძოლის საშუალების გამოყენება; 15 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების ჯარში გაწვევა. კანონი განასხვავებს აქტებს, რომლებიც ეხება ომის დანაშაულებს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და ქმედებებს, რომლებიც არ ხდება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტს.

**დანართი გ. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების განმსაზღვრელი ინსტრუმენტები**

**ლონდონის ქარტიის მუხლი 6(ა)** კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები განსაზღვრავს, როგორც მკვლელობას, ჟლეტას, დამონებას, დეპორტაციას და სხვა



არაჰუმანურ ქმედებებს ჩადენილს ნებისმიერი სამოქალაქო პირის წინააღმდეგ ომამდმე ან ომის პერიოდში, ან დევნას პოლიტიკურ, რასობრივ და რელიგიურ საფუძველზე განხორციელებულს ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის პროცესში ტრიბუნალის იურისდიქციაში მიუხედავად იმისა არღვევს თუ არა ეს იმ ქვეყნის ადგილობრივ კანონმდებლობას, სადაც დანაშაული მოხდა.

**ICTY**-ის წესდების მე-5 მუხლი განსაზღვრავს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, როგორც ფართომასშტაბიან მკვლელობას, ჟლეტას, დამონებას, დეპორტაციას, დატყვევებას, წამებას, გაუპატიურებას, დევნას პოლიტიკურ, რასობრივ და რელიგიურ ნიადაგზე და სხვა არაჰუმანურ ქმედებებს, როდესაც ისინი ხორციელდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

**ICTR**-ის წესდენოს მე-3 მუხლი ეხება დანაშაულებს, ჩადენილს როგორც ფართომასშტაბიანი და სისტემატური თავდასხმების ნაწილს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ეროვნულ, პოლიტიკურ, ეთნიკურ, რასობრივ და რელიგიურ ნიადაგზე და შეიცავს იგივე დანაშაულების ჩამონათვალს, რომლებიც განსაზღვრულია ICTY-ს მე-5 მუხლში.

**ICC** დებულებების შესაბამისი მუხლები მოცემულია 36-ე პუნქტში.

### **დანართი დ: დოკუმენტები, რომლებიც ეხება ტერორიზმს**

ამ დოკუმენტების ტექსტი შეიძლება მოიძიოთ შემდეგ მიმსამართზე:  
<http://untreaty.un.org/English/Terrorism.asp>

1963 წლის კონვენცია დანაშაულებისა და სხვა ქმედებების შესახებ რომლებიც ჩადენილი იქნა თვითმფრინავებზე (ძალაშია 1969 წლის 4 დეკემბრიდან)

1970 წლის კონვენცია თვითმფრინავების არაკანონიერად ხელში ჩაგდების შესახებ (ძალაშია 1971 წლის 14 ოქტომბრიდან)

1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი ქმედებების შეჩერებისათვის (ძალაშია 1973 წლის 26 იანვრიდან)

1973 წლის კონვენცია საერთაშორისო დონეზე დაცული ადამიანების წინააღმდეგ წარმოებული დასჯისა და დანაშაულების პრევენციის შესახებ დიპლომატური აგენტების ჩათვლით (ძალაშია 1977 წლის 20 თებერვლიდან).

1979 წლის საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის შესახებ (ძალაშია 1983 წლის 3 ივნისიდან)

1980 წლის კონვენცია ატომური ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ (ძალაშია 1987 წლის 8 თებერვლიდან)

1988 წლის პროტოკოლი არაკანონიერი ქმედებების შეჩერების შესახებ სამოქალაქო აეროპორტებში (ძალაშია 1989 წლის 6 აგვისტოდან)

1988 წლის კონვენცია საზღვაო ნავიგაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების შეჩერების შესახებ (ძალაშია 1992 წლის მარტიდან)

1997 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვების შეჩერების მიზნით (ძალაშია 2001 წლის 23 მაისიდან)

1999 წლის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების შეზღუდვის შესახებ (ძალაშია 2002 წლის 10 აპრილიდან).

### **დოკუმენტების პროექტები:**

კონვენცია საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ, 2001 წლის პროექტი

### **რეგიონალური**

1971 წლის ამერიკის კონვენცია ტერორიზმის ისეთი აქტების პრევენციისა და დასჯის მიზნით, რომლებიც იღებენ ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და გამოძალვის ფორმებს, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო მნიშვნელობა (ძალაშია 1973 წლის 16 ოქტომბრიდან) (იხ. <http://www.oas.org/> )

1977 წლის ევროპის კონვენცია ტერორიზმის დამლევის შესახებ ძალაშია 1978 წლის 4 აგვისტოდან) (იხილეთ: <http://conventions.coe.int> )

1987 წლის სამხრეთ აზიის ასოციაცია რეგიონალური თანამშრომლობისათვის. <http://untreaty.un.org/English/Terrorism.asp>

1998 წლის არაბული კონვენცია ტერორიზმის დამარცხების შესახებ (ძალაშია 1999 წლის 7 მაისიდან)

1999 წლის აფრიკული გაერთიანების კონვენცია ტერორიზმთან ბრძოლისა და პრევენციისათვის (იხილეთ: [http://www.africaunion.org/Official\\_documents/Treaties\\_%20Conventions\\_%20Proocols/Algiers\\_convention%20on%20Terrorism.pdf](http://www.africaunion.org/Official_documents/Treaties_%20Conventions_%20Proocols/Algiers_convention%20on%20Terrorism.pdf) )

1999 წლის შეთანხმება თანამშრომლობაზე დსთ-ს ქვეყნებს შორის ტერორიზმის დამარცხების მიზნით (ძალაშია)

1999 წლის კონვენცია ისლამური კონფერენციის ორგანიზების შესახებ საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხების მიზნით (ჯერ არ არის ძალაში) <http://untreaty.un.org/English/Terrorism.asp>

2001 წლის 19 სექტემბერი, ევროსაბჭოს რეკომენდაცია ადამიანის უფლებების დაცვის კომისარისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებების შესახებ, რომლებსაც სურთ ევროსაბჭოს წევრ ქვეყანაში შესვლა და უარის თქმის მითითებების განხორციელება

2002 წლის 3 ივნისის ინტერ-ამერიკული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ, AG/RES. 1840 (XXXII/O/02) (ჯერ არ არის ძალაში) (იხილეთ <http://www.oas.org/> )

2002 წლის 11 ივლისი, ევროსაბჭო, მინისტრთა კომიტეტი, ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები და ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ (იხილეთ: [http://www.coe.int/t/e/human\\_rights/pdfs/PDF\\_H\(2002\)004%20E%20Guidelines%20terrorism.pdf](http://www.coe.int/t/e/human_rights/pdfs/PDF_H(2002)004%20E%20Guidelines%20terrorism.pdf)).

2003 წლის 15 მაისი, პროტოკოლი, რომელსაც ცვლილებები შეაქვს ევროსაბჭოს ევროკავშირის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციაში

მრავალი დოკუმენტი შეგიძლიათ მოიძიოთ: <http://europa.eu.int/eur-lex/en/index.html> მათ შორის:

2001 წლის 27 დეკემბერი, საბჭოს მარეგულირებელი აქტი (2001/2580) სპეციალურ ამკრძალავ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია კონკრეტული ადამიანებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ რათა შევებრძოლოთ ტერორიზმს.

2001 წლის 27 დეკემბერი, საბჭოს გადაწყვეტილები (2001/927) სპეციალურ ამკრძალავ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართულია კონკრეტული ადამიანებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ რათა შევებრძოლოთ ტერორიზმს.

2001 წლის 13 ივნისი, საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება ტერორიზმის დამარცხების შესახებ, 2002 წლის 22 ივნისი.

დოკუმენტების პროექტი:

2002 წლის 7 ნოემბერი, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშობლობის ორგანიზაციის ქარტია ტერორიზმის პრევენციისა და დამარცხების შესახებ.